# საერთო გაზეთი

№13 (518) • 10 აპრილი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი



## ბიძინა ივანიშვილი:

## 9 აპრილი, დღე, რომელმაც ოცდაათი წლის წინათ ახალ ეპოქას მისცა დასაბამი



## „მფატრავი სანდრა“



**ქეთევან ზარნაძე:**

ადამიანების ორგანოებით ვაჭრობაში ექვმიტანილი „მფატრავი“ სანდრა ზუგდიდის მერობაზე კი არ უნდა იყრიდეს კენჭს, **ციხეში უნდა იჯდეს!**

**მივმართავ საქართველოს პროკურატურას: დაუყოვნებლივ აღძარით სისხლის სამართლის საქმე სანდრა რულოვსის და იმ ექიმების მიმართ, რომლებმაც უამრავ ჯანმრთელ ადამიანს სასიკვდილო დიაგნოზი დაუსვეს...**



## ქართული პოლიტიკის შავი ყვავი, ანუ „პერედო-ზიროვკა“ ხუხაშვილით

## „რუსთავი-2“ მთავარი არხი კი არა მთავარი საქათმეა



## ორი ჩათლახი მთავარი საქათმიდან

## „ალვირახსნილი პატრიოტის“ ვნებანი



**„ერთი რჩევა მინდა მივცე დავით მაღრაძეს: სცენაზე ჯაბა იოსელიანის დიდი პორტრეტი ჩამოკიდოს, პრეზიდიუმში თავმჯდომარედ დასკუპებულმა, მარჯვნივ თენგიზ სიგუა მოისვას, მარცხნივ დოდო გუგეშაშვილი და ირინა სარიშვილი ...“**

## ბიძინა ივანიშვილი:

# 9 აპრილი, დღე, რომელმაც ოცდაათი წლის წინათ ახალ ეპოქას მისცა დასაბამი

## „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის წერილი 9 აპრილის 30 წლისთავთან დაკავშირებით



საქართველოს ისტორიას ბევრი ისეთი დღე ახსოვს, რომელმაც ქართველი ერის ბედი განსაზღვრა და ჩვენი ქვეყნის მომავალი გადაწყვიტა. სწორედ ასეთი დღეა 9 აპრილი. დღე, რომელმაც ოცდაათი წლის წინ ახალ ეპოქას მისცა დასაბამი.

საბჭოთა იმპერიის მარწუხებისგან სამშობლოს დახსნა, საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება – ეს იყო ის დიდი ეროვნული იდეა, რომლის გარშემოც გაერთიანდა და ერთ მუშტად შეიკრა მთელი ერი.

1989 წლის 9 აპრილი იყო უმძიმესი, ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული დღე, მაგრამ ეს დღე ჩვენთვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სიმბოლოდ იქცა – მთელი განვლილი ისტორიის მანძილზე შეძენილმა ეროვნულმა ენერგიამ ერთ პატარა მოედანზე მოიყარა თავი და დაღვრილი სისხლის მიუხედავად, ამ უთანასწორო ბრძოლიდან ქართველი ხალხი მორალურად გამარჯვებული გამოვიდა.

ერთადერთი ძალა, რომელმაც მაშინ ჩვენს ხალხს შეაძლებინა შიშველი ხელებით დაპირისპირებოდა საბჭოთა რეჟიმის სისასტიკეს, წინ დადგომოდა საბჭოთა ტანკებს, ეს იყო სამშობლოს უპირობო სიყვარული და შიშველი ემოცია. სწორედ ამ მუხტმა და ემოციამ შეგვაძლებინა, რომ თავისუფლებისთვის შეუპოვარი ბრძოლა რაციონალურ კალაპოტში მოგვექცია და ორი წლის თავზე, 1991 წლის 9 აპრილს, როგორც ამ ბრძოლის ლოგიკური შედეგი, ზვიად გამსახურდიამ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა.

დამოუკიდებლობის პირველივე დღეებიდან, როდესაც სახელმწიფოს მშენებლობას ცივი გონება, მუხლჩაუხრელი შრომა და საზოგადოების მაქსიმალური კონსოლიდაცია სჭირდებოდა, ჩვენს რაციონალიზმზე ემოციამ იმძლავრა და მას შემდეგ, საკუთარ შეცდომებზე გვიხდება სახელმწიფოებრიობის სწავლა:

ჯერ არჩეული ხელისუფლება დავამხეთ და ქვეყანა სისხლიანი სამოქალაქო დაპირისპირების ქაოსში გადავისროლეთ, შემდეგ კრიმინალებს ვაჯიჯგნინეთ სამშობლო, მერე, თითქოს გონს მოსულებმა, ქვეყანას გეოსტრატეგიული ფუნქციაც შევძინეთ და ნატო-ს კარზეც დავაკაკუნეთ, მაგრამ კორუფციასა და უძრაობაში ჩაფლულებმა იმდენი ვქენით, სანამ ემოციურ ტალღაზე შინნაზარდი დიქტატორი არ გამოვიძახეთ, რომელიც რუსთაველის გამზირზე ისევ სისხლში ახშობდა სახალხო პროტესტს.

2012 წლის 9 აპრილს, დამოუკიდებლობის ოცდამეერთე წელს, საქართველო დემოკრატიის ნასახის გარეშე, გადავსებული ციხეებით, ხმაგაკმენდილი მედიით, ოკუპირებული ტერიტორიებითა და აღმოსავლური ტირანიის ისეთი ცინიკური მოდელით შეხვდა, რომელიც ხალხის ჯიბიდან წაგლეჯილი ფულითვე ყიდულობდა დემოკრატიის ნიღაბს შინ თუ გარეთ.

ასეთი იყო ჩვენი სახელმწიფოებრიობის ტრაექტორია – თავდაღმართში სვლის ტეხილი, რომელშიც ძალიან ცოტა იყო დარაზმულობის, შრომისა და ურთიერთ გატანის ადგილი, რომელშიც თითქმის ყველა ისტორიული გარდატეხა სულსწრაფობითა და ემოციით ხდებოდა, რის შედეგადაც ქვეყნის განვითარება ათწლეულებით დავხიეთ უკან.

მიუხედავად ამისა, 2012 წლის პირველ ოქტომბერს ქართველმა ხალხმა შესაძლებლის ზღვარზე გაიარა და წარმოუდგენელი გამარჯვება მოიპოვა. ბევრს არ სჯეროდა, რომ ნგრევის, სამოქალაქო დაპირისპირებისა და არეულობის, ყოველგვარი რევოლუციური სცენარების გარეშე, ჩვენ სამართლებრივ სივრცეში მოვახდენდით ემოციური მუხტისა და რაციონალიზმის იდეალურ შერწყმას, მაგრამ ჩვენ ეს შევძელით – ძალადობრივი რეჟიმი ისე უმტკივნეულოდ, უსისხლოდ მოვიშორეთ თავიდან, რომ თვითონაც ბოლომდე არ იჯერებდნენ მომხდარს. ამ დღეს ხელმეორედ დაიბადა 9 აპრილის სულისკვეთება და უკვე მეშვიდე წელია, ქვეყანას მართავს რაციონალიზმზე დაფუძნებული პოლიტიკა, რომელმაც უწყვეტი საგარეო და სამოქალაქო მშვიდობა მოიტანა, რაც უპრეცედენტოა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში.

მაგრამ მაინც მივიღეთ პარადოქსული ვითარება:

როგორც წესი, ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში ეკონომიკურ განვითარებას თან სდევს დემოკრატიის პროგრესი და ადამიანის უფლებების სტანდარტის ზრდა. ჩვენს ქვეყანაში, იმის გამო, რომ პირველი ოქტომბრის არჩევნების შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ უზრუნველყო დემოკრატიის მაღალი სტანდარტი და პოლიტიკური უფლებების სფეროში თამასა ევროპულ სიმაღლემდე ასწია, ჩვენი ეკონომიკური მოცემულობა ობიექტურად ჩამორჩა ამ სტანდარტს. სწორედ ამას იყენებენ ქაოსის მსურველი ძალები, სარგებლობენ რა ჩვენს მიერ დამკვიდრებული დემოკრატიული ინსტრუმენტებით და ეკონომიკურ პრობლემებზე სპეკულირებით კვლავ ფიქრობენ რევანშზე, ცდილობენ დაგვაბრუნონ 90-იანი წლების სიბნელეში და დღესაც, მათი მთავარი დასაყრდენი კვლავ რაციონალიზმზე გამარჯვებული ემოციებია. მიუხედავად იმისა, რომ „ოცნების“ ხელისუფლებამ ამ ექვსი წლის მანძილზე რეგიონალური თუ გლობალური პოლიტიკურ-ეკონომიკური გამოწვევების ფონზე, რეალური შესაძლებლობის თითქმის მაქსიმუმი გააკეთა და ეროვნული ეკონომიკის უკლებლივ ყველა სფეროში თვალსაჩინო პროგრესი აჩვენა, სწორედ „ოცნების“ ხელისუფლებას უყენებენ პრეტენზიას იმ სოციალურ-ეკონომიკური კოლაფსისთვის, რომელშიც ქვეყანა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აღმოჩნდა. ნიშანდობლივია, რომ ყველაზე ხმამაღლა იმ ხალხის პრეტენზია ისმის, ვინც იმ წლების განმავლობაში ყველაფერი გააკეთა, რომ ეს კოლაფსი დამდგარიყო.

ქვეყნის სტაბილურ წინსვლას რეალისტური და მკაფიო ამოცანები, მოთმინება და თანმიმდევრულობა სჭირდება. წინსვლა არ არის მყისიერი პროცესი. ის ითხოვს ხანგრძლივ სამოქალაქო მშვიდობას, რომელიც არ მიიღწევა ბარიკადების პირობებში. ამისთვის აუცილებელია ერთსულოვნება. სწორედ ის მდგომარეობა, რომელშიც ჩვენ ვიყავით 1989 წლის 9 აპრილს, როდესაც არავინ კითხულობდა, თუ ვინ სად იდგა მანამდე, როცა ამპარტავნება და ეგოიზმი ვერ ერეოდა საერთო საქმეს, როცა საკუთარი თავი კი არ მოსწონდათ ეროვნულ მოძრაობაში, არამედ პირიქით, ეროვნული მოძრაობა – საკუთარ თავში.

პოლიტიკა არის შესაძლებლის ხელოვნება, ანუ მხოლოდ ის, რაც რეალურად მიღწევად მიზანს ემსახურება, ხოლო ხალხისთვის პოლიტიკად შესაღება იმისა, რაც შესაძლებლის მიღმა დგას – უბრალოდ მავნებლობაა, რადგან არარეალური მიზნები ქმნიან ცრუ მოლოდინებს, მათი მიუღწევლობა კი შობს იმედგაცრუებას და ნიჰილიზმს და ძალიან სწრაფად იწვევს ეროვნული ენერგიის სრულ გამოფიტვას. გამოცდილება გვასწავლის, რომ ასეთი სულსწრაფი მცდელობები, წინსვლის და განვითარების ნაცვლად უკუსვლას იწვევს, რასაც, როგორც წესი, შედეგად ქაოსი და დესტაბილიზაცია მოჰყვება ხოლმე.

მიუხედავად ჩვენი პოლიტიკური წარსულისა, დღეს მოქალაქეები ისევ ერთი მიზნისთვის უნდა გავერთიანდეთ.

ეს არ ნიშნავს მეხსიერების წაშლას, არ ნიშნავს იმას, რომ ვინმეს მიეტევოს ჩადენილი დანაშაული, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ „ეშმაკი ყოფს“ და განხეთქილებისკენ გვიბიძგებს! უნდა დასრულდეს პრინციპულობის ლოზუნგით საზოგადოების გახლეჩვა, თითის გაშვერა, ერთმანეთის დამუნათება და პოლიტიკური წარსულის მუდმივი შეხსენება. ყველგან, სადაც იქნება ემოციების გამარჯვება საღ აზრზე, განზე გადგომა და თანამოაზრეებთან დაპირისპირება, იქ იქნება ქაოსის ძალების დასაყრდენი, იქ იქნება 9 აპრილის იდეალების ღალატი.

წარსულში მიბრუნება დღეს სრულიად წარმოუდგენელია. წინ მხოლოდ რაციონალური პოლიტიკის, განვითარებისა და დემოკრატიის გზაა. ქართული სახელმწიფოს წინსვლის შეუქცევადობა მხოლოდ საერთო მიზნისთვის მთელი საზოგადოების დარაზმულობაზეა დამყარებული.

9 აპრილი მუდმივად გვახსენებს ამას.





„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა – ნიანგი ტელევიზიების ხახაში



## გვარამიებისა და მისთანათა კენტავრულ-მაზოხისტური ბაკქანალიები უნდა დამთავრდეს!

ჩვენ უმორალო დროში და ქვეყანაში ვცხოვრობთ (შეიძლება ითქვას, ლიბერასტი გვარამიებისა და გაბუნიების მორალი დამკვიდრდა)..

ჩვენი დრო დაემგვანა ძველ საუკუნეთა მიწურულს, როცა ძველი ღმერთებიც აღარ იყვნენ და ქრისტეც ჯერ არ იყო მოსული... კაცობრიობა კენტავრულ-მაზოხისტურ ბაკქანალიაში ჩაიძირა...

ჩვენ გვქონდა უფრო ძველი ბიბლიურ-ქალდეურ-შუმერული მორალი, უძველესი რჯულის კანონები, სიტყვის უზენაესობის და მისი ღვთიური ბუნების მოფრთხილების უნარი.

„სიტყვით დაკოდილი არ განიკურნება“.

სიტყვის უარყოფით ენერგიას შეუძლია მსოფლიო ომების აღძვრა, ნასოფლარის სოფლად ქცევა; „სიტყვა გადვაგდე ერშია,



სიტყვა რა სიტყვა – ეული“, – ბრძანებს ქართველი გენიოსი.

ერში გადაგდებულ სიტყვას შეუძლია ერის ფსიქოლოგიის შეცვლა — რაიმეს უარყოფა ან დამკვიდრება; სიტყვას შეუძლია თეთრის შავად მოქცევაც...

ჩვენ, სამწუხაროდ, უმორალო დროში აღმოვჩნდით, უფრო სწორად, სააკაშვილების, ბოკერიების, გვარამიების დროში... ჩვენ ვერ გავედით ამ დროის ჭაობიდან, ვერ გავიყვანეთ კენტავრი ჯორები და მაცილები ამ დროში, „ქართული ოცნების“ დანდობამ და შენდობამ რომ დატოვა.

ჩვენ აღმოვჩნდით დაუნდობლობის და ღალატის, ერთურთის ჩაშვებისა და გადაგდების გარემოში.

ერი და საზოგადოება საკუთარი ქვეყნის მტერი ტელევიზიებისა და უზნეო „გამოხატვის თავისუფლების“ მძევალი გახდა.

●

ჩვენს ქვეყანას, ერს ჰქონდა რუსთაველის მორალი, ხანძთელის მორალი... უფრო აქეთ — ილიას და ვაჟას მორალი.

ჩვენ უმორალო დროში და ქვეყანაში დავრჩით გამოხატვის თავისუფლებით დასჯილი.

...რაღაც ღვთისმშობლის წილხვედრობაზე აპელირებენ ესენიო, — ქალი კვესიტაძე ასე აგდებულად აჟღერებს ამ თემას.

რაღაც ღვთისმშობლისო....

„რაც უნდა თქვან, აჩვენონ ჩემი ფარული კადრები, ჩემი გინებები; ამათი დედაც, მე ესეთი ვარ და ესეთი ვიქნები. სულ ფეხებზე მკიდია ყველა!“

„ამის დედა, იმის დედა, ამის კეთილები“, — ასე ლაყბობს გვარამია. ეს უზნეო, უმორალო გაურკვეველი სქესის არსება. აი, ამ უმორალო კაცის გინებას და თავხედობას ვითმენთ ჩვენ, უნიათო ერი და სახელმწიფო...

ჩვენ ხალხი რომ გვერქვას, გამოვათრევდით კიკინებიან გვარამიას, კვესიტაძე-გაბუნია-დავით ზურაბიშვილანად, გვერდზე რომ ეჯდნენ და კვერს უკრავდნენ და დავსვამდით იქ, სადაც ძველი რჯული სვამდა მავნებლებს.



„თუნდაც გამაუპატიურონ, დაინახავენ ევროპაში და დედას გიტირებენ...

მომკლავენ?

ვერ მომკლავენ, ივანიშვილს დაბრალდება“...

ასეთი დაცვის ინსტინქტი აქვს ამ საცოდავ უბადრუკს — სამარცხვინო არსებას...

●

საზოგადოება ვერ ცხოვრობდა უმორალოდ ვერც რომელ დროში; კაცობრიობამ შექმნა ღირსების და ზნეობის კოდექსები ჰამურაბის უწინარეს და შემდგომ დროებშიც.

ჩვენ გვქონდა დავით აღმაშენებლის მწიგნობართუხუცესთა მორალი, ვახტანგ VI-ის სამართალი, სვანთა და ხევსურთა ბრწყინვალე რჯულის საადათოსაოჯახო და საერო სამართალი, ქცევის წესები...

კაცობრიობა ზნეობრივმა კანონებმა გამოიყვანა ნეანდერტალური, კენტავრული დროიდან და ჩვენ ისევ იქით, უკან შევბრუნდით, იქ მივყავართ ამ ტილიან მაკაკებს.

●

ვინ გაბედავდა, ვინ შეაგინებდა საჯაროდ, საზოგადოდ, კაცს თემში, ვინ გაუბედავდა ბილწი სიტყვის თქმას უხუცესს...

ვინ გაბედავდა ქალზე ხელის აღმართვას — საადათო სამართლით „ქვაზე გასვამდნენ“ ...

გვარამია წიწილასავით უნდა ეკიდოს სირცხვილის ბოძზე, ვიდრე ძალიან ბევრს არ ჩაიფსამს და კვესიტაძე არ შეუმშრალებს...

**ჩვენ ერი რომ ვიყოთ, „რუსთავი-2“-ს დიდი ხნის წინ ამოვდებდით ალვირს და ამოვლაგმავდით თუნდაც პრეზიდენტი ქალბატონის გინებისთვის, პატრიარქის აუგად სხსენებისთვის და ბიძინა ივანიშვილის ეთერიდან პირდაპირ შეურაცხყოფისთვის.**

კაცი, რომელმაც XXI საუკუნის სვეტიცხოველი დაგვიდგა და ერი პირდაპირ მორგიდან ამოიყვანა, ახლა გაურკვეველი არსებების სალანძღავი გავხადეთ!

სწორედ გვარამიას და მისნაირების ღირსნი ვართ ჩვენ. იმ



არასამთავრობოების, იმ პოლიტიკანების, საკუთარ ამბიციებზე რომ ცვლიან და ყიდიან ქვეყანას!

ჭილყვავებივით რომ თავზე ბღერნი აყრიათ...

პოეტი საყვირით რომ დადის ვერის პარკში და რატომღაც და რაღაცისთვის კაცობას და ღირსებას წყალში ჩაყრის...

არც „ვეფხისტყაოსნის“ გმირები, არც შუა საუკუნეების რაინდები ასე არ იქცეოდნენ.

თუ არ მოგწონს, „გამოურჩიე სიტყვა“, როგორც ანდრეზი გვასწავლის და ცოტა მოიცადე — „ღალატის ფორმულად“ არ უნდა იქცე...

●

საზოგადოება ვერ ცხოვრობს უმორალოდ ვერც ერთ დროში.

ქრისტეს მორალი მივიდა კაცობრიობის ყველაზე უმორალო ეტაპებზე.

ახლა ამ სატანის მოციქულებმა ეკლესიის რევიზია და პატრიარქის განკითხვაც დაიწყეს...

და საზოგადოების პირდაპირი შეურაცხყოფა ღია ეთერიდან.

ჩვენ უზნეოთა უმადურ დროში აღმოვჩნდით!

**არავის უკეთებია ერისთვის იმდენი და ისეთი საქველო საქმეები მთელი ისტორიის მანძილზე ერთად შეკრებილი, რასაც ივანიშვილი აკეთებს!**

**ეს შინაური და გარეული ვირთხების აგრესიას იწვევს! მათ ურჩევნიათ, არავინ არაფერს აკეთებდეს, რადგან თვითონაც არაფერს აკეთებენ.**

ასეთი არაფრის გამკეთებელი „ხუხაშვილები“ გამოხტებიან და სიტყვას და საქმეს უწუნებენ.

არც „მისი“ აშენებული სოფელი უნდათ, არც მონასტერი.

ივანიშვილმა ხუთი სვეტიცხოველი და სამება რომ ააშენოს, ყველას ერთ დღეში დაწვავენ გვარამიები და მისთანანი... თუ ასანთს მისცემ.

მაგრამ ამათ „ასანთი“ უნდა წავართვათ.

„ქართულმა ოცნებამ“ „ვერ წაართვა ასანთი“ და ივანიშვილის



აშენებულ ტაძრებს აწვევინებს.

ამ ასანთს ჩვენ წავართმევთ (ერი) ამ ერის მაგინებლებს...

●

ჩვენ, მწერლებს, მწრალთა აკადემიას, არ გვჭირდება ეროვნული ინტერესების დაცვისთვის ბიძინა ივანიშვილის მოწოდება.

ჩვენ იქით მოვუწოდებთ ხელისუფლებას, რომ იყოს გაბედული და იმოქმედოს ხელისუფლებამ და პარლამენტმა, დაიცვას კანონის ძალით, ერის ინტერესი, მწერლობის ინტერესი.

„ღვთისმშობლის წილხვედრი თუ რაღაცაა ეს ქვეყანაო!“ — ამათ ხელში, ამ ნიანგი ტელევიზიების ხახაში ჩატოვებას არ ვაპირებთ!

ჩვენ ავაჯანყებთ ერის ენერგიებს სიტყვით და საქმით და როდესაც „რუსთავი-2“ და სხვებიც გვარამიასნაირებს წვერებით ჩამოკიდებულს დაინახავენ, მაშინ დაიჯერებენ (და მართლმორწმუნენიც გახდებიან)!

●

დიახ, ჩვენ მოვუხმეთ ინტელიგენციას რუსთაველის თეატრში... ჩვენ გადავაგდეთ სიტყვა ერში და კიდევაც გამოვაღვიძებთ კვირიასავით ყველა სოფელს, ყველა თემს, ყველა კუთხეს, ყველა ქალაქს — მივალთ და ვეტყვით...

ეს ასე იქნება და „აქცენტების“ დროც დასრულდება!

●

რეზიუმეს სახით ვიტყვი:

ახლა ისეთი დროა, „გამოდგება ტელეეკრენიდან მეძავი (ლეღვის ფოთოლიც რომ აღარ სჭირდება) და გეტყვის:

„რას მიყურებ? მე ვარ ღირსება, მე ვარ სინდისი!

ადგება კაცი ბაბალუყი და გეტყვის:

„რა არის ღირსება, რა არის სიმართლე და ჭეშმარიტება?! მე ვარ სიმართლე და ჭეშმარიტება“...

ახლა ისე გამოდის, რომ, რაც ჩვენ მართალი გვეგონა, ტყუილი ყოფილა, რაც სიცრუე გვეგონა — მართალი?!

დიახ, ასეთი დრო დაგვიდგა: ადამიანთა ბუნება მთლიანად ამოტრიალდა... – ცხოვრება თავიდანაა დასაწყები (და ასაწყობი).

●

სულ ბოლოს ვიტყვი: ზოგიერთი მწერალი გვამუნათებს, თითქოს აქ მაინც არაფერი გამოვა, თითქოს „ყველაფერი დროის კარგვაა“...

მწერლებს (და სხვებს) ვეტყვი: ნუ ჰგონიათ, რომ ყველაფერი (და ის, რაც გვინდა) თავისით ჩამოვარდება ციდან ნიუტონის ვაშლივით...

ასე არ იქნება, არც მე მაქვს სხვაზე ნაკლები საქმე და ბევრი დრო, მაინც „მოვდივარ“ და „აქ ვდგავარ!“

არც ილიას ჰქონდა თავზე საყრელი დრო. მაინც ხან ბანკის დირექტორი იყო, ხან მომრიგებელი მოსამართლე და კიდევ ათასი საქმის ინიციატორი!

ვაჟა-ფშაველასაც კი არ აცლიდნენ, რომ ლექსი დაესრულებინა...

ერთხელ სოფელს კაცები გაუგზავნა: ჩემს ეზოში ბულბული მოფრინდა, კატები ჩაამწყვდიეთ, თორემ ეგ ჩიტი თვალდახუჭული გალობს და ადვილად შეჭამენო!

ეტყობა ეს „ჩიტი“ კატებმა მაინც შეჭამეს და სოფელთან კონფლიქტიც მოსვლია ვაჟას.

ხედავთ, რისთვის იცლიდა?!

ვისაც „არ სცალია“ და „ვერ იცლის“, დარჩეს იქ, სადაც არის!

**კობა არაბული**

**საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი**

# უმადურობის სინდრომი

(წერილი მესამე)

ბატონო ბიძინა, გინდათ ცინცხალი ანეგდოტი გითხრათ? ამას წინებზე კახეთში ვიყავი, ერთი მოხუცი ქალი ქოთქოთებდა: იმე, ქააა, რაც ივანიშვილი მოიდა, თონეში პური აღარა დგება, სუ ცვივა. ადრე, მიხოს დროს როგო იყო, თონეში პური არა ცვიოდა-მეთქი? არაო, ეგეთი რამე არ მახსომსო.

ხედავთ, რა დონემდე მიიყვანა „რუსთავი 2"-მა და „ნაცმოძრაობამ" ჩვენი „მოაზროვნე" გლეხობა?

მეორე ანეგდოტსაც გეტყვით ისევ კახელების მაგალითზე: რთველი ახალი დაწყებული იყო, ერთი მომიჯნე მოეთრა, პლანებში აიარჩამოიარა, ყურძენი შეათვალიერა, ამ კვირის ბოლოი უნდა დავკრიფო, მაგრამ რა გამოა, არ ვიცი, არ მამწონსო. რა სჭირს-მეთქი? რავი, რაც ივანიშვილი გამოჩნდა, გეგონება ვაზი დაბერდა, ხეირიანად



აღარ ისხამსო. კი ავუხსენი, კაი გვარიანად აჟუილებ, ივანიშვილი რა შუაშია-მეთქი, მაგრამ მაინც ვერაფერი გავაგებინე, თავის „ნაციონალურ" აზრზე დარჩა.

ამნაირი ანეგდოტების მოყოლა ბლომად შემიძლია... თუმცა ამჯერად ესეც საკმარისია. შეიძლება ბევრს ეწყინოს, მაგრამ სიმართლე ჯანის სისაღეა, მე პირადად ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, მთელი საქართველო თქვენ შემოგბღავით, ფული გაქვს და გვარჩინეო. გაივლი ბირჟაზე, სხედან მუტრუკები, არაფრის გამკეთებლები მოიკითხავ, გამოელაპარაკები და ეგრევე იწყებენ — აბა, ივანიშვილმა რა გაგვიკეთა? არადა, ბევრი რამე კეთდება — გზა, წყალი, კვალი, ინტერნეტი, სკოლა, ბაღი, ამის ცენტრი, იმის ცენტრი, სკვერი... რომელი ერთი ჩამოვთვალო? შარშან ზაფხულს წნორი-დედოფლისწყაროს მაგისტრალი გაკეთდა, თუ მანამდე მისვლა-მოსვლას საათნახევარი სჭირდებოდა, ახლა 15 წუთის ამბავია. მიხოს დროს წნორში ყველა გზა ჩანგრეულგაპარტახებული იყო, ახლა გასივსივებული გზებია. იქაურები მაინც იძახიან — გზები ვჭამოთო? სხვათა შორის, მარტო ამ ორ რაიონში ამდენ გაკეთებლზე სიტყვა არავის დაუძრავს, არსად არაფერი გაშუქებულა. „ნაციონალები" დადიან, დაწანწალებენ, ხალხს აბოლებენ და ლამის „მოაზროვნე" გლეხობა დააჯერონ, რომ ყველაფერი მიხოს დროს გაკეთდა და არა ახლა. გამოგიტყდებით, ჩვენი მოსახლეობა (ნაწილზე ვამბობ) უფრო ჭკვიანი და განათლებული მეგონა. საამისო საფუძველიც





მქონდა — კომუნისტების პერიოდში ნებისმიერი წიგნი არ რჩებოდა გაუყიდავი, მაღაზიებში რიგები იდგა ხოლმე. ვფიქრობდი, ერი, რომელიც ამდენ წიგნს კითხულობს, წინ ვერაფერი დაუდგება-მეთქი. თურმე სად ვბანაობდი? ეტყობა, წიგნის ყიდვა უბრალოდ მოდაში იყო, ზოგს მწნილის ქილაზე დასაფარებლად უნდოდა, ზოგს კიდევ თაროების შესავსებად. უთუოდ ასე იყო, თორემ აბა, ამ მცირე დროში ისეთი რა უნდა მომხდარიყო, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი მასა ამნაირად გამოშტერებულიყო? გეუბნებით, ბოლო დროს ისეთებიც მხვდებიან, რომლებიც მოურიდებლად ლაპარაკობენ: კი, მიხოს დროს გვაწამეს, ცოლები გავიუპატიურეს, ჩვენც ზედ მიგვაყოლეს, ქონება წაგვართვეს, ღამის სამ საათზე ყველაფერი გადაგვაფორმებინეს, ციხის კედლები გვახეხინეს, მაგრამ მაინც ის დრო ჯობდაო. ვაააჰ, კაცოოო, მიკვირს და მომავალშიც გამიკვირდება, ესენი თუ მაზოხისტები არ არიან, რანაირად უნდა სჯობდეს ის დრო ამ დროს?!

წინა წერილში გითხარით, პირველი შეცდომა მაშინ დაუშვით, როცა თქვენ აკეთებდით და წითელ ლენტებს სხვები ჭრიდნენ-მეთქი. დიახ, სწორედ ამ შეცდომის წყალობაა, რომ დღეს, თქვენს მიერ, გაკეთებულიც კი სააკაშვილს მიეწერება.

ახლა კი მოგახსენებთ მეორე შეცდომაზე: როდესაც პრემიერ-მინისტრი გახდით, თქვენს ხელქვეით მინისტრებსა თუ თანაპარტიელებს გამოუცხადეთ, რეკლამა საჭირო არ არის, საქმემ ჩვენმა გამოგვაჩინოსო. შეიძლება ნორმალურ ქვეყანაში რეკლამა მართლაც არ არის საჭირო, მაგრამ ეს ის საქართველოა, სადაც სააკაშვილი ლამის ყოველდღე უყრიდა ფეიკსაკენკს მოსახლეობას და მოსახლეობაც დიდი სიამოვნებით კენკავდა. ტიპი ტრიბუნას დაათრევდა, კუბოს სახურავი გეგონებოდათ, სოფელ-სოფელ დადიოდა, გაზის ბალონს მოატანინებდა, ვიღაცის ღუმელზე მიუერთებდა, აანთებდა და იყო „რუსთავი 2"-ის ეთერში ერთი ამბავი, ამა და ამ სოფელში ხელისუფლებამ გაზი გაიყვანაო. იქაურები კი რჩებოდნენ გაღიმებულნი, მაგრამ დანარჩენ საქართველოს ხომ სჯეროდა, რომ მიხო საქმეს აკეთებდა? ალბათ თქვენც გახსოვთ, თბილისის აეროპორტი თემურ ალასანიას მეცადინეობით და გიული ალასანიას მონდომებით თურქებს რომ გადაულოცეს, გაქანდა მიხო და ძველი აეროპორტი ხელახლა გახსნა. თან ნინო ბურჯანაძეც წაიყოლა. გადმოდგა, იქაქანა, იბოდიალა, აქ ვენახები უნდა გავაშენო, უცხოელი სტუმრები რომ ჩამოვლენ, ეგრევე შეაწვდიან ხელსა და პირსაც გაისველებენო. მერე, ისაო, ჩვენი აეროპორტი მსოფლიოში საუკეთესოა, მიუნხენისა და მადრიდისა ამასთან შედარებით ქოხებიაო. როცა მორჩა, ბურჯანაძე ეუბნება: მიშა, ამდენი ტყუილი როგორ თქვი, სად ჩვენი აეროპორტი, სად — მიუნხენისაო? მიხომ ჩაიკისკისა თავისებურად, რას ამბობ, ნინო, საქართველოს მოსახლეობის 10—15 პროცენტი თუ დაფრინავს უცხოეთში, 85-მა პროცენტმა არაფერი იცის, ჩემ ნათქვამს ყველა იჯერებსო.

მედროვეთა ტექნოლოგიები სპეციალურ შესწავლას და გაანალიზებას ითხოვს, ეს ცალკე დარგია, ცალკე მეცნიერებაა. 2012 წლის გაზაფხულზე თქვენ ასევე საუბარი წამოიწყეთ, ქართულ პრესას უნდა დავეხმაროთ, გავაძლიეროთო. კი გამიხარდა, არიქა, გაზეთებსაც ეშველებათ, ცოტა მოღონიერდებიან-მეთქი, მაგრამ „ქართული ოცნების" კარიბჭესთან ეგრევე გაჩნდნენ ე.წ. მედიაექსპერტები თავიანთი უდღეური პროექტით, ანუ ფულის საკეთებელი „გენგეგმით". როგორც ვიცი, მაშინ ამ ჯეელებმა 300 ათასი ლარი თუ დოლარი წაიღეს, რამდენიმე „კალიასკა" იყიდეს, ვიღაცებს ჟურნალ-გაზეთები ჩაულაგეს, სოლოლაკში აატარ-ჩამოატარეს და ამით დამთავრდა. თან არეკლამებდნენ, მოძრავი ფოსტალიონების ინსტიტუტი შევქმენითო. ვაღიარებ, თქვენ მუდმივად კეთილშობილური მიზნები გამოძრავებთ, მაგრამ თითქმის ყოველთვის სამი მიზეზი გიშლით ხელს ამ მიზნების განხორციელებაში: პირველი — მედროვეები, მეორე — არაპროფესიონალთა დოღი, მესამე — თქვენივე ნდობა ორივე კასტის მიმართ, სანამ მიხვდებით, ვისთან გქონდათ საქმე. საერთოდ, ნებისმიერი ნორმალური ადამიანის ცხოვრებაშიც ასეა, ჩვენ ხშირად ვდგებით იმედგაცრუებისა თუ ღალატის წინაშე, ხშირად განვიცდით და გვტკივა, მაგრამ თქვენგან განსხვავებით, ეს ტკივილი მაინც იაფი გვიჯდება.

ბატონო ბიძინა, ვინც პირადად არ გიცნობთ, ყველას რობოტი, ან ფულის ტომარა ჰგონიხართ, რომელმაც ავტომატურად უნდა არჩინოს მთელი საქართველო. დარწმუნებული ვარ, შესაძლებლობა რომ გქონდეთ, მთელი საქართველოს რჩენაზეც არ იტყოდით უარს, მაგრამ მომკალით და ვერ ვხედავ მადლიერებას, ვერ ვხედავ მადლობის მთქმელ ადამიანებს, პირიქით, ვისაც, თუნდაც ერთი თბილი სიტყვა უნდა დასცდენოდა, ყველა ბოღმას ანთხევს.

დღეს ქვეყანაში დიდი საინფორმაციო ომია გაჩაღებული, შეიძლება თქვათ, „ნაციონალებისა" აღარავის სჯერა, ამ საქმესაც ტყუილად შესჭიდებიანო... ეს რომ ასე არ არის, საპრეზიდენტო არჩევნებმაც გვაჩვენა. სამწუხაროდ, „ქართული ოცნება", ასევე ხელისუფლება ვერ გასცდა „ნიუსის" დონეს. ბოლო დროს ვხედავ რამდენიმე ექსპერტს, მაგრამ ისინიც მხოლოდ „ნიუსის" ფორმატში მუშაობენ. ვერ ვხედავ მწერალ ჟურნალისტებს, თუნდაც პროზაიკოსებს, რომლებიც ბეჭდურ მედიაში შექმნიან ერთგვარ იდეოლოგიურ ხაზს. დღეს ზოგი ფიქრობს, რაღა დროს გაზეთია, ყველა ინტერნეტშია შემძვრალი, იქიდან იღებს ინფორმაციასო. ესეც დიდი შეცდომაა, ჯერ ერთი, საქართველოში მრავლად არიან ადამიანები, რომლებმაც ალღო ვერ აუღეს კომპიუტერს, ან ხელი არ მიუწვდებათ ინტერნეტზე და მეორეც — რეგიონებში უფრო სანდო და დამაჯერებელია მეჭდური მედია. სხვათა შორის, „ნაციონალებმა" ამაზეც იზრუნეს და ტელევიზიებთან ერთად პრესაც თავიანთ ჭკუაზე „მოაყომარეს". მართალია, ნიჭიერი მწერალი ჟურნალისტებით და პუბლიცისტებით არც „ნაციონალური მოძრაობა" გამოირჩევა, მაგრამ ეს საქმე დემაგოგიის მაღალ დონეზე მაინც აქვთ განვითარებული. დღეს „ქართულ ოცნებას" აუცილებლად სჭირდება იდეოლოგია, რომელიც საფუძვლად დაედება სწორი ანალიზი — მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რა ხდება, რატომ ხდება, როგორ ხდება და რისთვის ხდება.



ბატონო ბიძინა, მომდევნო წერილში მოგიყვებით, როგორ ფშვინავენ ნებიერად რეგიონებში მერები და მათი მოადგილეები, რომლებიც ავტომატურად „ქართული ოცნების" რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეებადაც ითვლებიან. სჯობდა, ეგენი თავმჯდომარეებად კი არა, პირდაპირ რესტორნების დირექტორებად გაგვემწესებინა, მაინც იქ სხედან დღე და ღამე, ჭიქას არ აგდებენ ხელიდან.

პატივისცემით,
გელა ჟეჟელაშვილი

# „აღვირახსნილი პატრიოტის“ ვნებანი

**ფილარმონიაში დანიშნულ შეკრებასთან დაკავშირებით, ერთი რჩევა მინდა მივცე დავით მაღრაძეს: სცენაზე ჯაბა იოსელიანის დიდი პორტრეტი ჩამოკიდოს, პრეზიდიუმში თავმჯდომარედ დასკუპებულმა, მარჯვნივ თენგიზ სიგუა დაისვას, მარცხნივ დოდო გუგეშაშვილი და ირინა სარიშვილი და ამათ, იქვე, გია ყარყარაშვილი მიუსვას ინვალიდის ეტლით.**



„მხედრიონის“ ლიდერი ჯაბა იოსელიანი, დარამატურგი, მწერალი, კანონიერი ქურდი, აკადემიკოსი, „ჯენტლმენი“და რევოლუციონერი, როგორც ამბობენ, სუკ-ის აგენტი და სახელმწიფო საბჭოს წევრი 2000 წელს გავიცანი.

სახლში ვესტუმრე.

კარი თავად გამიღო.

მუქი ყავისფერი, გრძელი ხალათი ეცვა და ფეხზე ფლოსტები. მოტეხილი, უხალისო, უიმედო მოხუცად მომეჩვენა მაშინ იმ სახელგანთქმული „მხედრიონის“ მეთაური. ინტერვიუ ჩავწერეთ გაზეთი „ახალი ეპოქისთვის“. ინტერვიუში მან თქვა: „ჩვენ ისევ ვიბრძვით. იმის მიუხედავად, რომ სროლის ხმა არ ისმის, ბრძოლა გრძელდება“. ამ სათაურით დაიბეჭდა მაშინ ეს ინტერვიუ, ხოლო ჩვენ ვიბრძვით კონტექსტში, ცხადია, თვითონ და მისი თანამებრძოლები იგულისხმებოდნენ.

წიგნში „სამი განზომილება“ კი ის წერს:

„თბილისში გამოვაცხადეთ კომენდანტის საათი. კომენდანტად დავნიშნე ზაზა ჩაჩუა…

…მიხარია, რომ ბიჭები აქტიურობენ. გია ჭანტურია კისრულობს ედპ-ს 200-კაციანი რაზმის შეკრებას და დასავლეთ საქართველოში გაგზავნას, ოღონდ იარაღს თხოულობს. გია ჭანტურია კითხავს ზვიადისტებს, არის ფეხებში სროლა და დაჭრებიც… ინტელიგენციაში ფულს აგროვებს იარაღისა და სხვა დანიშნულებისათვის დავით მაღრაძე.“

როგორც ვხედავთ, იმ წლებში სხვა „მეგობრებთან“ ერთად, კონკრეტულად, „მხედრიონის“ გუადრუცის მცველი და შემკრები, პოეტი დავით მაღრაძე ბრძანებულა, კაცი, რომელიც დღეს თავს „დაიცავი საქართველოს“ ლიდერად აცხადებს და ქართულ საზოგადოებას ფილარმონიაში შეკრებისკენ მოუწოდებს.

როგორც მითხრეს, ეს კაცი თავის დროზე კომკავშირის ინსტრუქტორი ყოფილა და მერე გადასულა ჯაბა იოსელიანის ბანაკში. გავიდა დრო და, როგორც მონტესკიე და დალამბერი საფრანგეთის რევოლუციაში, დავით მაღრაძეც, პოეტურად გაკვანძული ჰალსტუხით დადგა „ვარდებიას რევოლუციის“ ბარიკადებზე და შექმნა კიდევაც ამ რევოლუციით აღფრთოვანებულმა „ჰიმნი“ — „ჩემი ხატია სამშობლო“, სადაც „პოეტურად“ წარმოიდგინა საქართველოსა და ღმერთს შორის პარადოქსალური და გაუგონარი წილის ყრა, თუმცა, თვითონ კი არ დაწერა, გადმოააკაკა, როგორც გელა ზედელაშვილი ამბობს…

ისე კი, თავიდან ბოლომდე პურიტანი გახლავთ დავით მაღრაძე, ანუ ადამიანი, რომელიც მკაცრად და უმეტესწილად, მოჩვენებითად იცავს ზნეობას. იგი ცდილობს იყოს ორიგინალური და დაამკვიდროს სამშობლოსადმი მისეული, თითქოსდა, გადაჭარბებული სიყვარულის დასადასტურებლად, ტერმინი „აღვირახსნილი პატრიოტიზმი“, რომელიც, პირველ რიგში, სწორედ ზნეობრივი აღვირახსნილობის ასოციაციებს ბადებს.

მთელ მის ცხოვრებას თუ გადავავლებთ თვალს, ზუსტადაც კურტიზანულად აქვს ნაცხოვრები — კომკავშირიდან ეძებდა სარგებელს, „მხედრიონიდან“ ფულს და ძალაუფლებას, რაც მიიღო კიდევაც — მეტიც, კულტურის მინისტრი გახდა ჯაბას პერიოდში, „ნაცებისგან“, რომელთაც მერე განუდგა — ასევე ფულსა და კეთილდღეობას იღებდა, მერე ხელების ფართოდ შლით და იტალიაში გაგზავნილი ლექსებით თავმოწონებული — ნობელის პრემიაზე წარმადგინესო, ბიძინა ივანიშვილის კარზე გამოცხადებულა.

რა კოდური სიტყვა უთხრა იმისთანა, „ოცნების“ კულუარებში გავლენები რომ მოიპოვა, ეს თვითონ და ღმერთმა იცის მარტო. უფრო საოცარი კი ისაა, რომ ეს „აღვირახსნილი პატრიოტი“ საქართველო დავიცვათ და გადავარჩინოთო, რომ გაიძახის.

ვისგან უნდა დაიცვას საქართველო, როცა ნაყაჩაღარ-ნაბანდიტარი ხალხი ყველა გვერდით უდგას, ეს მაინტერებს, ძალიან.

„მხედრიონი“ ანგელოზებრივი გაერთიანებაც რომ ყოფილიყო, ჯერ ნაცებს ელოლიავებოდა და მერე ოცნებას ჩაეხუტა, ე.ი. სამჯერ თუ ოთხჯერ შეცდა, ახლა როგორღა უნდა დავუჯეროთ? ამიტომაც არის პოლიტიკური კურტიზანი და რაღაი ზემოთ საფრანგეთი ვახსენე, ერთი ფრანგული ანდაზაც მისწრება იქნება ამ ამბავზე, ანდაზა, რომელიც ზუსტად მაღრაძისნაირ ხალხზეა ზედგამოჭრილი და ასე ჟღერს: „კახპას რამდენიც უნდა გადაუხადო, მის სიტყვას ფასი არ აქვსო“, ანუ მსუბუქი ყოფაქცევის ადამიანი, ე.ი. აღვირახსნილი, რაც უნდა მოხდეს, რაც არის, მაინც ისეთად რჩებაო.

ამ წერილს რომ ვწერდი, მკითხველმა დამირეკა. მე გახლავართ **ნინო მახარობლიძე**, რამდენიმე ინსტიტუტში უცხო ენებს ვასწავლიდი, კონსერვატორიის სახელმწიფო ანსამბლში 90-იანებში ვიოლინოზე ვუკრავდი, მშვენივად მახსოვს, რა ხდებოდა იმ წლებში, როგორ ეჭირა ხელში ავტომატი დავით მაღრაძეს და იოსელიანთან ერთად როგორ იბრძოდა ხელისუფლების დასამხობადო.



ქალბატონი ნინოს მონათხრობს უცვლელად გთავაზობთ.

**ნინო მახარობლიძე:** „90-იან წლებში მეტრო „დელისთან“ „მხედრიონის“ დაჯგუფებამ მაზლი მომიკლა. ყველაფერი კარგად ვიცი და მახსოვს. ამიტომ ფილარმონიაში დანიშნულ შეკრებასთან დაკავშირებით, ერთი რჩევა მინდა მივცე დავით მაღრაძეს: სცენაზე ჯაბა იოსელიანის დიდი პორტრეტი ჩამოკიდოს, პრეზიდიუმში თავმჯდომარედ დასკუპებულმა, მარჯვნივ თენგიზ სიგუა დაისვას, მარცხნივ დოდო გუგეშაშვილი და ირინა სარიშვილი და ამათ, იქვე, გია ყარყარაშვილი მიუსვას ინვალიდის ეტლით.

რაც შეეხება ბესელიას და გოგიჩაიშვილს — მესმის მათი. არც მე მომწონს ის მოსამართლეები, მაგრამ თუ არ იციან, გაიკითხონ მაღრაძის ბიოგრაფია და იმ „მხედრიონის“ ნაავკაცარიც მოიკითხონ, მე რომ მაზლი მომიკლა.

**— ქალბატონო ნინო, რა იცით, რომ მაინცდამაინც „მხედრიონმა“ მოგიკლათ მაზლი?**

— ჩემი მაზლი არაჩვეულებრივი ადამიანი იყო, პატიოსანი, უწყინარი. ძეგლთა დაცვის სამმართველოში მუშაობდა მაშინ. მთელი საქართველო ფეხით ჰქონდა მოვლილი. როგორც თვითმხილველებმა მერე გვითხრეს, მას ბუბა კიკაბიძემ ესროლა. იქვე იყო, თურმე, ოთარ ლითანიშვილი, რომელიც მერე გახდა თბილისის მერი. ამათ გაძარცვეს შემდეგ მთელი ქალაქი, შეიძინეს ძალაუფლება და ზვიად გამსახურდია რომ განდევნეს, ასე გამოაცხადეს: გილოცავთ, ურჩხულისგან დავიხსენით საქართველოო! სიტყვა-სიტყვით გეუბნებით სიმართლეს.

ჩემი მაზლი, როგორც გითხარით, უპატიოსნესი, ქვეყნის მოყვარული კაცი იყო. მისი და ბევრი მისნაირის მოკვლით და განადგურებით წინააღმდეგობის გამწევი აღარავინ დატოვეს და გაძარცვეს ჩვენი მუზეუმები. ქვეყნიდან გაიტანეს, გაყიდეს ფიროსმანის, გაბაშვილის, კრანახის ნამუშევრები და ფული ჯიბეში ჩაიდეს.

კოტე გაბაშვილის მეთაურობით „კოლხურ კოშკს“ ცეცხლი წაუკიდეს. რა ხდებაო, რომ იკითხეს, კოტე გაბაშვილს უპასუხია: გველების ბუდეა და უნდა ამოიბუგოსო.

როგორც მაშინ ამბობდნენ, სწორედ მაგ პერიოდში, 5 მლნ. კუპონად შეიძინა დავით მაღრაძემ ცირკის შენობა, რომელიც შემდეგ მიჰყიდა ბადრი პატარკაციშვილს. აი, ეს არის რეალური ისტორიები, რომელიც ბევრმა არ იცის.

მინდა, პირველ რიგში, გაიგოს ეკა ბესელიამ, რომელმაც, შესაძლოა, არც იცის, ვისთან აპირებს მისვლას!“

ეკა ბესელია იქნება თუ ქართული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ელიტის წარმომადგენლები, რომლებიც მივლენ „დაიცავი საქართველოს“ შეკრებაზე, ვფიქრობთ, ეს იქნება თანხმობა და მხარდაჭერა იმ ადამიანებისადმი, რომლებიც არაერთხელ და ამჯერად უკვე მერამდენედ ცდილობენ დესტაბილიზაციის მოწყობას ქვეყანაში და ხალხმა თუ კიდევ შეძლო პატიება, ისტორიაში დიდ სირცხვილად ჩაიწერებიან.

სხვა საქმეა, ვინ მტყუანია და ვინ — მართალი, ამის გარჩევას დიდი დრო მოუნდება, ხოლო დავით მაღრაძე და მისი თანამოაზრეები თავიანთ ქმედებებს „აღვირახსნილი პატრიოტიზმით“ რომ ნიღბავენ, სინამდვილეში ეს მოძრაობები ვიწრო მერკანტილურ ინტერესებზეა აგებული და სამშობლოს ხარჯზე სამარცხვინო ვაჭრობაა, რომელსაც, თუ დავაკვირდებით, ვერც მანერული ინტელექტუალიზმი გადაფარავს და ვერც პატრიოტიზმით სპეკულირება.

ვიკიპედიაში დავით მაღრაძის სახელის და გვარის გასწვრივ პოეტი და პოლიტიკოსი წერია.

რა პოეტიცაა, ჩვენ კი ვიცით, მაგრამ დრო და ჟამი უკეთ განსაზღვრავს.

რაც შეეხება პოლიტიკურ მიმართულებას.

ზოგი ამბობს, რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა და ახლაც მათ წისქვილზე ასხამს წყალსო.

არც პოეტი და არც პოლიტიკოსი პოლიტიკური ორიენტაციით არ ფასდება. ადამიანი შეიძლება იყოს კარგი პოეტი, შეიძლება იყოს კარგი პოლიტიკოსი, იყოს ან პრორუსი, ან პროამერიკელი, ან ნატო მოსწონდეს, ან თურქეთ-ირანი, მაგრამ საქმე იმაშია, რა კაცი ხარ, რა გაგიკეთებია, როგორ დაგიწერია შენი ცხოვრების ისტორიის წიგნი და ამა თუ იმ პოლიტიკურ მიმართულებას სამშობლოს კეთილდღეობის იდეით უჭერდი მხარს თუ იმის გამო, ეგება ნეკა თითზე ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი მოვირგო ქვეყნის გაყიდვის ხარჯზე მოპოვებული დივიდენდებითო და მერე ეს ხელები ცხვირწინ უტრიალო თანამემამულეებს.

იყო დრო, დავით მაღრაძე ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელს ვრცელ ნოტას უგზავნიდა — „ნაცმოძრაობა“ გვგუდავს, თავისუფალ სიტყვას გვიზღუდავს, გვახრჩობს და გვიშველეთო. ახლა მოგვიწოდებს — ბიძინა ივანიშვილი „გვგუდავს“ ზნეობრივ ასპექტშიო.

როცა ქვეყანას უჭირს, ყოველთვის მაშინ რომ უჭერთ ყელში ხელს სამშობლოს მაგ „აღვირახსნილი პატრიოტიზმით“ , ეგ არის მოგუდვა, ბატონო დავით, სხვა კი არაფერი?!

მაღრაძე ლექსში „ლამანჩელი კაფეში“ წერს:

„ტრამალის ქარი დაბმული, საკანის ტიპიკონია,

ეს სახიჩარი ქვეყანა რაინდს სამშობლო ჰგონია“.

ჰოდა, თუ სახიჩარია, სწორედ თქვენნარიმა „რაინდებმა“ დაასახიჩრეს…

სამშობლო თქვენ რომ გგონიათ, ის დახლი არაა, ბატონო დავით, არც სქელი ცხვრის დუმაა და არც ზემოთნახსენები ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი…

სამშობლო მარადიულია, ხოლო თქვენი შეკრება ფილარმონიაში, მოჩვენებითი პურიტანის ზედაპირზე მუდმივი ტივტივის ოცნება და სურვილი, რომელიც, სავარაუდოდ, ამჯერად, სასტიკი მარცხით დამთავრდება…

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ორი ჩათლახი მთავარი საქათმიდან

## „რუსთავი–2“ მთავარი არხი კი არა მთავარი საქათმეა

ერთი კვირა იტრიპაჩა, ამ ჩემის ტრულაილამ, მიხოსთან ძაან მაგარი ინტერვიუ ჩავწერეო, ძაან მძიმე შეკითხვები დავუსვიო, არც მოვერიდე და არც არაფერიო... მაინც გამიძლოო, მაგარი პოლიტიკოსია, მსოფლიო მნიშვნელობისო. ჰო, იმაზე მოგახსენებთ, ტუჩები რომ დაუბერია და პირი გახეულ კალოშს მიუგავს. ჩემი გაბურძგნულიო, ხელს უსვამს თავზე მიხა სააკაშვილი. ჰო-მეთქი, ნეკროლოგ გვარამიაზე გეუბნებით, ბრიუსელში რომ ჩაფრინდა და მაგარი „ექსკლუზივი“ გააძრო. თან „მთავარ არხზე“ იქნება ეს ყველაფერიო, მოემზადეთ დაუნდობელი და გამანადგურებელი შეკითხვებისთვისო. ჯერ ერთი, ექსკლუზივი არა, იხვის ტოლმა, დღეგამოშვებით ლამის ლაჯებით არის გადმომჯდარი სააკაშვილი „რუსთავი 2“-ის ეთერში და ბურღავს ტვინს თავისი სისულელეებით, მეორეც – ვინ და როდის მიანიჭა ამ საქათმეს მთავარი არხის სტატუსი? არც არავინ, თვითონ დაირქვეს!

●

მოკლედ, როგორც უკვე გაცნობეთ, ნიკოლოზ გვარამია ბრიუსელში ჩაფრინდა, მიხა სააკაშვილს შეხვდა და „რუსთავი 2“-ისთვის 2-საათიანი ინტერვიუ ჩაწერა. სანამ ეს უბადრუკობა ეთერში გავიდოდა, იმან, იმ ნაპროკურორალმა ე.წ. ჟურნალისტმა ბრიუსელის ერთ-ერთი კაფედან „ლაივი“ ჩართო და კადრში ვიხილეთ ორი ერთმანეთზე უარესი ჩათლახი. ოღონდ, მომიტევეთ, ახლა ნუ მომთხოვთ იმის ახსნას, რომელი უფრო დიდი ჩათლახია. გააჩნია დროს, ვითარებას და გარემოებას, ხან ერთია გამორჩეული ჩათლახი, ხან – მეორე. ა, ბატონებო და ქალბატონებო, თავად ნახეთ, რა სიბანძეს აფრქვევდნენ ერთიც და მეორეც. მოდით, ჯერ იმ „ლაივ-ვიდეოდან“ ამოვიღოთ „შედევრი“ ფრაზები, რომელიც ინტერვიუს გასვლამდე გაავრცელა ნეკროლოგ გვარამიამ, შემდეგ კი 2-საათიან ბარახლო გადაცემასაც გადავხედოთ. ესე იგი, ბრიუსელის რომელიღაც კაფეში წამოტყლარჭული მიხა იძახის: „გიჟიაო სააკაშვილიო... ბიჭო, მთაზე გიზით კაცი, რომელიც სექსით არ არის დაკავებული ხეებთან, თორემ დანარჩენი ყველაფრით. კაცია, რომელიც დღე და ღამე ეხუტება ხეებს, გლიჯავს ხეებს“.

ნიკა გავრამია მომენტს არ უშვებს, უკბილოდ ღადაობს: „თქვენ რა იცით, რომ სექსითაც არ არის დაკავებული“?

მიხა ხან თავს იქექავს, ხან კიდევ თითს ისვამს ცხვირზე ვიოლინოს ჯოხივით და განაგრძობს: „ეგეც არ ვიცი, ახლა სანთელი არ დამიჭერია, მაგრამ წარმოიდგინე, მთელი ხეები გადათხარა, გამცირებთ, გაფურთხებთ, მარიხუანას 500%-იანი მოგება აქვს და კიდევ მე ვარ გიჟი?! გიჟი ის არის, ვინც მას არ თვლის გიჟად“.

კიდევ მე ვარ გიჟიო? რას მიედმოედებით, სოლოლაკში კაცი გიზით, ხეებთან აქვს სექსი, ამას ვერ ამჩნევთ, თქვენ ხართ გიჟებიც და აფრაკებიცო. აი, ეს გახლავთ სიდედრის ტრიკოს შეფარებული უტრაკო ყარაჩოხლის „იუმორის“ შინაარსი, ხოლო ამ „იუმორის“ მიღმა იმალება ღვარძლი, ბოღმა, ღიმილში შერეული ჩირქი – „სადაც მე არ ვარ პირველი კაცი, იქ ყველაფერი იღუპება, მეწყერს და ნაგავს მიაქვს მთელი საქართველო“! თავს ზემოთ ძალა აღარ აქვს ამ გაქსუებულ „პრაშმანდოვკას“, ვეღარც წინ მიდის, ვეღარც უკან, გაჭედილია საკუთარ ბალღამში, იხარშება თავის ბინძურ ქვაბში. მიხა უფრო შორს მიდის და განაგრძობს მეორე ჩათლახთან ღადაობას:

„ამ გიჟმა შეიძლება ჩვენი ისტორია დაასრულოს. ამიტომ, საქართველომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩამოიფერთხოს ის და იქნება ძალიან მაგარი ქვეყანა, სინგაპურიზმი კუბში. ყველაფერი კარგად იქნება, თუ არ დაველოდებით მხოლოდ 2020 წელს.




რა თქმა უნდა, არჩევნებით ხელისუფლების შეცვლა აუცილებელია, მაგრამ არჩევნებამდე რომ მივიდეთ, ამას უნდა გავაგდებინოთ ხელიდან, ჩაბღუჯებულია კბილებით... ყველას დღეგრძელობა იყოს, ბრიუსელიდან მოგესალმებით და მალე იმედია, თბილისში... ისე მშურს ახლა ამ კაცის, ნიკა გვარამიასი, რომ მიდის თბილისში. ამის დედა ვატირე მე, რატომ უნდა ვიჯდე ამ წვიმიან ბრიუსელში, რატომ? იმიტომ რომ იმ (ბიძინა ივანიშვილს) დეგენერატს ეშინია ჩემი? წავიდეს რა, იმკურნალოს“!

ნახეთ, როგორაა გიულიჩი ამოვარდნილი გრაფიკიდან – ესე იგი, იმიტომ ზის (ამის დედა ვატირე!) წვიმიან ბრიუსელში, რომ ბიძინა ივანიშვილს მისი ეშინია. აბა, ერთი შემოუშვას, არ დაიჭიროს, მერე აჩვენებს სეირს. არ ვიცი, გახსოვთ თუ არა, სააკაშვილი ჯერ კიდევ პრეზიდენტი იყო, როცა თქვა: მე რომ ოპოზიციაში ვიყო, ნებისმიერ ხელისუფლებას სამ თვეში დავამხობდიო. სამი თვე კი არა, შვიდი წელიწადი გავიდა და ბიძინა ივანიშვილს ვერაფერი მოუხერხა. ამიტომაც კადრულობს უკადრებელს, ამიტომაც გადადის დაუკრეფავში, მისი დავთრების თანახმად, თურმე ივანიშვილი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ გარშემო ყველა გააბანძოს. არადა, პირიქითაა, ივანიშვილმა ბევრი „დააკაცა“, გზაზე დააყენა, ჩააცვა, აჭამა, თანამდებობა მისცა, მაგრამ ამ ბევრიდან ბევრმა ვერ შეიფერა... უფრო სწორად, ისე შეიფერა, იქით დაუწყო ივანიშვილს თავის გატოლება და ჭკუის სწავლება. ზოგიერთი პანჩურის ღირსი მადლობით რომ გაისტუმრა და ციხეში არ უკრა თავი, ეტყობა, ეგ არის გაბანძება!

●

გადავიდეთ ასერიგად ნარეკლამებ გადაცემაზე, ანუ ინტერვიუზე, რომელიც გვარამიამ „ექსკლუზიურად“ ჩაწერა ნისლიან... უკაცრავად, წვიმიან (ამის დედა ვატირე!) ბრიუსელში: ეს ჩათლახი ეუბნება იმ ჩათლახს, ეკა ბესელია ამბობს, ფარული კადრები სააკაშვილის დროს არის გადაღებულიო.

იმ ჩათლახის პასუხი: ძალიან მარტივი სიტუაციაა რა, არასოდეს ჩემ დროს არც ერთი პირადი ცხოვრების კადრი არ გასულა... შეიძლება ვიღაც იღებდა, მე რა ვიცი? მაგის გაკონტროლება შეუძლებელია, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ეს არ კონტროლდება. თუ ვინმე რაღაცას ჩათლახობს თავისთვის, ეს არ კონტროლდება“.

თუ ვინმე რაღაცას ჩათლახობს თავისთვის, ეს არ კონტროლდებაო. ახლა მიხვდით, რატომ დავარქვი ამ სტატიას „ჩათლახები“? ჯერ ერთი, „ნაცები“ პროკურატურას და ხელისუფლებას რომ უკიჟინებენ, ფარული ვიდეოების საქმე გამოიძიეთ, თორემ დაგამხობთო (ამათი დამხობილი არ გაიშვა წვიმიან ბრიუსელამდე, მაგრამ მაინც), ეგ როგორაა, მიხოს მმართველობის შემთხვევაში არ კონტროლდება, ხოლო ივანიშვილის შემთხვევაში კონტროლდება? მეორე – 27 ათასი ფაილი რომ დაამზადა „მეგის-ფიქჩერსმა“, როგორ იყო, მიხოს 27 ათასი ჩათლახი ჰყავდა თავის კარზე თუ ამდენი ერთმა ჩათლახმა შეძლო? მოკლედ, მსოფლიო დონის ჩათლახი სხვის ჩათლახობებზე ისე ლაპარაკობს, გეგონება ფარული ვიდეოების საყურებლად მე მქონდა მოწყობილი კინოთეატრი და ჩემ გარემოცვასთან ერთად მე ვხითხითებდი.

და მაინც... ამ ჩათლახის შეკითხვაზე, რას იზამდა, რომ გაეგო (ვითომც არ გაუგია), ეკა ბესელია ჩაწერეს, ის ჩათლახი პასუხობს:

„თავს მოვაძრობდი ყველას. ჩემთვის მთავარი პრინციპია, რომ ეს არ კეთდება. როდესმე ვინმესგან გაგიგიათ რომ ვინმეზე ვჭორაობდი? ივანიშვილი ჭორაობდა ალასანიას პირად ცხოვრებაზე. ოლიგარქის სტილია ასეთი, ჩვენ პირად კადრებს არ ვიყენებთ მტრების წინააღმდეგაც კი“.

თავს მოვაძრობდი ყველასო... პირად კადრებს არ ვიყენებდით მტრების წინააღმდეგაც კიო... არაო, ბადრი პატარკაციშვილის წინააღმდეგაც არ გამოგვიყენებიაო... არაო, ერეკლე კოდუაც არ გაგვიგზავნია ლონდონში ბადრისთანო... არაო, არც ნახევარი საქართველო გამოგვიცხადებია ჯაშუშებად და არც ფარულ ვიდეოებს ვატრიალებდით 24 საათის განმავლობაშიო... რა უნდა ელაპარაკო ახლა ამას? წავიდა, შეყო თავი სიდედრის ტრიკოში და ჰგონია, ყველას ყველაფერი დაავიწყდა.

●

არა, ხედავთ? კარგად ხედავთ, როგორ ავაზაკთან გვქონდა საქმე? თურმე აფრასიძეებს ისტორია, იგივე ვაზაგაშვილის და კორტების ოპერაცია აუცილებლად უნდა ჩატარებულიყო, სხვა გამოსავალი არ იყო. ათასობით ოჯახი უნდა გაენადგურებინათ – სხვა გამოსავალი არ იყო. ათასობით ადამიანი უნდა გაეუპატიურებინათ – სხვა გამოსავალი არ იყო. ბიზნესი უნდა დაეტერორებინათ – სხვა გამოსავალი არ იყო. პატიმრები უნდა ეწამებინათ, ტრაკში ცოცხები ეკეთებინათ – სხვა გამოსავალი არ იყო. თურმე იგივე პრობლემაა ბრაზილიაში, აგერ, ქუჩაში დახოცა პოლიციამ რამდენიმე კრიმინალი. სხვადასხვა ქვეყნებს აქვს ასეთი ეტაპები. ესე იგი, იმ ჩათლახის გაგებით, გირგვლიანი და რობაქიძე კრიმინალები იყვნენ. მერე რა, ბრაზილიაშიც იგივე ხდება. გირგვლიანის მკვლელობა გაუფრთხილებელი მკვლელობა ყოფილა... ანუ ოქროყანაში რომ აიყვანეს და აწამეს, ამაზე წინასწარ ვერ გააფრთხილეს. რატომ გაუნახევრეთ სასჯელი ამ ადამიანებსო? – ეკითხება ეს ჩათლახი. დაუკვირდით, დამნაშავეებს კი არა, ამ ადამიანებსო, სიტყვა „დამნაშავესაც“ არ იყენებს (თქვე ჩათლახებო, რომელია მაგათგან ადამიანი?!). ის ჩათლახი პასუხობს, იმიტომ გავუნახევრე, რომ სამხედრო მოსამსახურეები იყვნენო. მაშინ რატომ დაწერა სტრასბურგმა, რომ ეს ორკესტრირებული იყო და ვერტიკალის თავში სააკაშვილი იყოო? იმიტომ, რომ წულუკიანმა დაწერა დასკვნა, წულუკიანს ჰქონდა პირადი დაინტერესებაო. აჰა, მე მამა აბრამის ბატკანი ვარ, წულუკიანმა გამიჩალიჩაო. რაც შეეხება რობაქიძის ისტორიას, უკაცრავად, ასეთი რამე ამერიკაში ყოველდღე ხდებაო, ეს იყო გამოუცდელი სახელმწიფო აპარატი, რას მოვთხოვთ ხალხს, რომელსაც წარმოდგენა არ ჰქონდა, სახელმწიფო რა იყოო,

გამოუცდელები ვიყავით, გავა კიდევ 5–6 თაობა და სასაცილოდ მოგვეჩვენება ეს ყველაფერიო. თურმე რობაქიძის საქმე სასაცილო ყოფილა, რადგან ამერიკაში ყოველდღე ხდება მსგავსი რაღაცები, კლავენ და მერე იარაღს უდებენ.

იმ ჩათლახს მივმართავ: რომ იძახი, 5–6 თაობის მერე სასაცილოდ მოგვეჩვენებაო, უკვდავი კაშჩეი ხარ, შე ჩემის ვართაპეტიანო? 5–6 თაობის შემდეგ შენი ძვლებიც აღარ იქნება ამ დიად სამყაროში!

●

„ექსკლუზიური“ ინტერვიუს კულმინაცია!

ეს ჩათლახი ეკითხება იმ ჩათლახს, როცა პრეზიდენტი იყავით, ბიზნესმენებს რატომ არ ხვდებოდითო?

პასუხი: „მე მსურდა, რომ ბიზნესმენები ყოფილიყვნენ თავისუფლები. მამუკა ხაზარაძესაც არასოდეს შევხვედრივარ პირადად“.

არა, მიხო, შენ არა, ბიზნესმენებს შენი კლიზმა ადეიშვილი იბარებდა, ის ხვდებოდა და საპროცესოებს უფორმებდა. ღამის 3 საათზე მიათრევდნენ ხოლმე ნოტარიუსთან, სპეციალურად გყავდათ ასეთები – ღამის ნოტარიუსებს ეძახდნენ. სპეცრაზმსაც ღამე დაახვევდით ხოლმე თავზე, ვისაც კი თვალში წყალი ედგა, ვისაც კი ცოტაოდენი ქონება გააჩნდა. შე ჩემის ვართაპეტიანო, ამას წინებზე თავად არ აღიარე, სახლების წართმევის ხასიათზე აღარ ვარ, ეგ ძალიან აზარტული საქმეა, ერთს რომ წაართმევ, მერე კიდე გინდებაო?! ერთი პერიოდი არ იხვეწებოდი, გამოვსწორდი, თბილისში დამაბრუნეთო?! ვინა, ბიჭო, შე არამზადავ, შენი გამოსწორება სად გაგონილა? ის ფანდი რომ არ გაგივიდა, ახლა მეორე ფანდს აწვები, ვითომც მამა აბრამის ბატკანი მყავხარ, ვითომ ყველა სიბინძურე შენს გარეშე ხდებოდა. რომ გამეგო, ეკა ბესელია ჩაწერეს, ეგრევე თავს წავაძრობდიო. გიმეორებ, 27 ათასი ფაილი შენს კისერზეა და როგორც ბუტა რობაქიძის დედამ, ია მეტრეველმა გიწინასწარმეტყველა, ეგ ცოდვები აუცილებლად გადავა შენს შთამომავლობაზე!

**დასკვნა:** „იდი ნა ხუი“, მიხავ, შე ჩათლახო!!!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# ქართული პოლიტიკის შავი ყვავი, ანუ „პერედოზიროვკა“ ხუხაშვილით



გია ხუხაშვილი ერთი ტელევიზიდან მეორეში, მეორიდან მესამეში, მესამიდან მეოთხეში დაფრინავს და ყველა ეკრანიდან შავი ყვავივით დაგვყრანტალებს: „ქართული ოცნება“ ჩამოიშალა, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში ყოფნის დრო ამოიწურაო.

მართალია, ხუხაშვილი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ შავი კი არა თეთრი ყვავია, მაგრამ მისი ფიცი-მტკიცი იმ ფაქტს რას უშველის, როცა სინამდვილეში შავია — გარედანაც შავი, შიგნიდანაც შავი.

ჯერ ემოჩკასთან მიყრანტალდება, იქიდან ინგულიასთან გადაყრანტალდება, ინგულიასგან ჯულიეტოვიჩთან შეყრანტალდება და ყველგან ერთსა და იმავეს ყრანტალებს — „ქართულ ოცნებას“ დაერხა, ბიძინა ივანიშვილს მოეხაზაო.

ჩვენს ღრმად პროვინციალურ ელექტრონულ მედიაში შავ ყვავებზე მოთხოვნილება ყოველთვის დიდი იყო, მაგრამ არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით ეს მოთხოვნა კიდევ უფრო გაიზარდა, მათ შორის გაიზარდა ხუხაშვილზეც, როგორც ვეტერან, დიდი გამოცდილების ყვავზე. ხუხაშვილი ხომ ყველაფრის ექსპერტია, ყველაფერი იცის, ყველაფერს ხედავს, ყველაფერში ერკვევა — პოლიტიკა გინდა თუ ეკონომიკა, მედია გინდა თუ პიარტექნოლოგიები, ამასთან ერთად, ცოტას წაიშამანებს კიდევაც და შიგადაშიგ არც წინასწარმეტყველის როლზე ამბობს უარს.

— მე ვიცი, რომ არაფერი ვიცი, — ამბობდა ერთი დიდი ფილოსოფოსი, ხუხაშვილი კი პირიქით ამტკიცებს — მე ვიცი, რომ ყველაფერი ვიცი, თუმცა თუ ამ ყველაფრისმცოდნე ბრძენთაბრძენის და გურუს ლაპარაკს მეტი ყურადღებით დააკვირდები და გააანალიზებ, შეიძლება იმ დასკვნამდე მიხვიდე, რომ ამ კაცს ცოტა კრამიტი აქვს დაცურებული.



კრამიტი რომ არ ჰქონდეს დაცურებული, ხომ მიხვდებოდა, რომ არ შეიძლება დღეში სამჯერ სამ სხვადასხვა ტელევიზიას აძლევდე ინტერვიუს და ერთსა და იმავეს ღეჭავდე.

„პერედოზიროვკა“ ამა თუ იმ პერსონით, ამ შემთხვევაში ხუხაშვილით, ისეთივე მავნებელი და დამანგრეველია, როგორც „პერედოზიროვკა“ ნარკოტიკით — ეს მარტივი და ბანალური ამბავი არც ხუხაშვილს ესმის და არც იმ ტელევიზიებს, ეთერიდან ეთერში რომ დაათრევენ ხუხაშვილს, რომელიც გზადაგზა პულოვერებს და პერანგებს იცვლის — მწვანე პულოვერს თუ გადაიცვამს, ვითომ ის ხუხაშვილი არ იქნება, რომელიც ცოტა ხნის წინათ წითელ პულოვერში ბრდღვიალებდა ემოჩკასთან თუ ჟიჟისთან.

მიუხედავად იმისა, რომ სხაპასხუპით ლაპარაკობს — თითქოს ნირვანაშია და ხილვები აქვს, მაგრამ მაინც შეშინებული ჩანს ეს ჩვენი გულადი ხუხა.

ამბობენ, ეს შიში წინა ხელისუფლებების პერიოდიდან გამოჰყვა, როცა ერთხელ მანქანის საბარგულში ჩატენეს ორად მოკეცილი, მეორეჯერ კი ვიღაცებმა ბაღში ძაღლთან ერთად სეირნობისას თავ-ყბა გაუერთიანეს, რასაც პატივცემული ხუხა მის პოლიტიკურ აქტივობას უკავშირებს, თუმცა, მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, ხუხა ფინანსური ოღრაშობების გამო დასაჯეს.

ასეა თუ ისეა, ნამდვილად შეშინებული ჩანს ბატონი ხუხა და ბიძინა ივანიშვილის და „ქართული ოცნების“ მისამართით აღვლენილ ყველა კრიტიკულ გამოხდომას ინტიმურ-ფამილარული საბურველით ფუთავს — მე რომ ბატონ ბიძინას ვაკრიტიკებ, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მის მიმართ პიროვნულ ვალდებულებებზე უარს ვამბობ. მას რომ რაღაც გაუჭირდეს, მე ვალდებული ვარ, მის გვერდით დავდგე — თაფლად და შარბათად იღვრება სხვა დროს ლენცოფასავით მწარე და მწკლარტე ხუხა, მაგრამ მეორე წუთს ამ თაფლს და შარბათს ისეთ შხამს და გესლს მოაყოლებს ივანიშვილის „მოსაწამლად“, რომ გაოცდები.

ხუხაშვილი იგივე მეთოდით მუშაობს „ქართული ოცნების“ მიმართაც — ერთი ხელით რომ სამარეს უთხრის, მეორე ხელით ამ ახლად გათხრილ სამარეზე ყვავილებს აწყობს — მართალია, მე კი მოგკალით და მე კი გაგითხარეთ სამარე, მაგრამ თქვენ არ იცით, როგორ მიყვარდით და როგორ მიყვარხართ, ჩემო ძვირფასებოო...

რასაც ხუხაშვილი აკეთებს, ეს იგივეა, ადამიანს ჯერ ზურგში დანა ჩაარტყა, მერე კი წინიდან შემოუარო და ალერსი და მოფერება დაუწყო — პოლიტიკურად ჩაგარტყი დანა ზურგში, მაგრამ პიროვნულად შენთან გასაყოფი რა მაქვს, ძმა ხარ ჩემი და ძმაზე უტკბილესიო.

პიროვნულად რომ გიყვარვარ, მაგრამ პოლიტიკის გამო რომ მკლავ და სამარეს მითხრი, ამას რა ჰქვია, ხუხაშვილო?

რა ჰქვია და ფარისევლობა, აფერისტობა, „დვურუშნიკობა“, გოთვერნობა და ჩათლახობა.

ერთი კაცისთვის ძალიან ბევრი კი არის, მაგრამ ხუხაშვილი ისეთი ვინმეა, აიტანს.

გახსოვთ, ერთ ძველ ქართულ ფილმში ერთი დროული კაცი რომ წამდაუწუმ იძახის: — მე რომ ოსმალეთში ვიყავი... მე რომ ოსმალეთში ვიყავი...

ეს გონება შეზღუდული ფსევდოჟურნალისტები ხუხაშვილს მიცვივდებიან ხოლმე და ყელგამოწეული ეხვეწებიან: — მოგვიყევით ერთი, თქვენ რომ ბიძინა ივანიშვილთან იყავით, იმის შესახებო.

და ხუხაშვილიც ჰყვება და ჰყვება: — მე რომ ბიძინა ივანიშვილთან ვიყავი... მე რომ ბიძინა ივანიშვილთან ვიყავი...

ერთ-ერთ გადაცემაში „ჭკვიანმა“ და „ბრძენმა“ „ხუხამ“ აღიარა, რომ, როცა ბიძინა ივანიშვილთან იყო, ფაქტობრივად, არაფერი გაუკეთებია მთელი ერთი წლის განმავლობაში.

— ერთადერთი, რაც გავაკეთე, ის იყო, რომ ტელეკომპანია „იმედი“ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს დავუბრუნე, — თქვა „ხუხამ“ და ამ ნათქვამს „ნაციონალების“, განსაკუთრებით კი გიგი უგულავას ქება-დიდება მოაყოლა — უყოყმანოდ დაუბრუნეს „იმედი“ ბადრის ოჯახს და, საერთოდ, რას ერჩიან ამ გიგის, კაცმა სასჯელი პატიოსნად მოიხადა და კიდევ რა უნდათ, ვერ გავიგეო.

არაფერი გამიკეთებიაო. კი ბრძანებს თავმდაბალი და მოკრძალებული „ხუხა“, ერთი წელი ტყუილად ვიჯექი კეზერაშვილის კუთვნილ პიქსელის შენობაშიო, თუმცა ბოროტ ხმებს თუ დავუჯერებთ, არაფერი გაუკეთებია კი არა, იმ ერთი წლის განმავლობაში იმდენი ფული აქვს გაკეთებული, სიცოცხლის ბოლომდე ეყოფა „საგულაოდ“.

როგორც ვიღაც-ვიღაცები ირწმუნებიან, „მეჭურჭლეთუხუცესი“ ხუხა ამ ხნის განმავლობაში თავის ჭკუაზე ალაგებდა „პალაჟენიას“ ბიზნესის სფეროში.

მის კაბინეტთან ბიზნესმენთა გრძელი რიგი იდგა თურმე და ყოვლისშემძლე ხუხასგან განაჩენს მორჩილად ელოდა.

ისიც ზოგს წყალობდ, ზოგს ვრის აბანოთი ემუქრებოდა, ზოგს ხელის წაკვრას და „იქ“, „ზემოთ“ მფარველობას ჰპირდებოდა.

რომელიმე არამკითხე ჟურნალისტი თუ კითხავდა, კეზერაშვილის „პიქსელში“ რომ ზიხართ, რა აზრის ბრძანდებით ბატონ კეზერაშვილზეო, ხუხაშვილი მრავალმნიშვნელოვნად დუმდა, თითქოს აზრზე არ იყო, რას ეკითხებოდნენ.

ხუხაშვილმა მხოლოდ მაშინ ამოიღო ხმა, როცა კეზერაშვილი საქართველოიოდან გაფრინდა და მშვიდობიანად დაეშვა ისრაელის მიწაზე.

— ბანდიტი და ყაჩაღი იყო ეგ კეზერაშვილიო, — მრისხანებას აფრქვევდა დიდი ვეზირი ხუხა.

— კი, მაგრამ, ბანდიტი და ყაჩაღი თუ იყო, აგერ არ გყავდათ, რატომ გაუშვითო? — იკითხა ერთმა ინტრიგანმა, რაზეც ხუხა ისევ მრავალმნიშვნელოვნად დუმდა.

ყოვლისმცოდნე და ყველაფრის ექსპერტმა ხუხაშვილმა „ქართულ ოცნებაში“ ყოფნისას არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს განვითარების ფონდი“ დააფუძნა, სადაც, რამდენადაც ვიცით, მილიონ ლარამდე ჩაირიცხა, თუმცა ხუხაშვილის განვითარებული საქართველო არავის უნახავს, ისე, როგორც არავინ იცის, სად გაიხარჯა და რაში გაიხარჯა ის მილიონი ლარი.

როგორც ამბობენ, ფონდის ანგარიშზე ამ მილიონი ლარის გარდა სხვა სოლიდური თანხებიც იყო ჩარიცხული, რომლებსაც საქართველოს განვითარებაზე და აყვავებაზე გულაჩვილებული სხვა საქმიანი ადამიანებიც ხალისით რიცხავდნენ, თუმცა არც ამ თანხების ბედ-იღბალი იცის ვინმემ.

ტელევიზიიდან ტელევიზიაში მოხეტიალე ეს ტელედერვიში და ტელექადაგი ხუხაშვილი თავისი „ქადაგებებით“ ნაციონალებს რომ ემსახურება და მათ წისქვილზე ასხამს წყალს, ცხადზე ცხადია, თუმცა ხუხაშვილს ჰგონია, რომ მთელი ქვეყანა მხოლოდ სულელებით არის დასახლებული, ის კი იმდენად ჭკვიანია, იმდენად შენიღბულად აკეთებს ამას, რომ მის გაიძვერობას და ვირეშმაკობას ვერავინ ვერ ხვდება.

სხვათა შორის, სისულელის და სიბრიყვის პირველი ნიშანი, იცით, რა არის?

რა არის და ის, როცა კაცს საკუთარი თავი ძალიან ჭკვიანი, ყველაზე ჭკვიანი ჰგონია.

ამ ნიშნით თუ განვჭვრეტთ და გავჩხრეკთ ხუხაშვილის „მოღვაწეობას“, გამოდის, რომ ხუხაშვილი, სინამდვილეში, ჭკვიანი კი არა, სულელია, უფრო ზუსტად, როგორც ზემოთ ვთქვით, კრამიტი აქვს დაცურებული, ოღონდ ეს კრამიტი ხან მარჯვნივ გადაუცურდება და ხან მარცხნივ, იმის მიხედვით, თუ საიდან წამოუვლის შიში, შიში კი, მოგეხსენებათ, ოხერი რამეა და შეიძლება ისეთი „გმირობაც“ კი ჩაგადენინოს, რაზეც საღ ჭკუაზე მყოფი არც კი იფიქრებდი.

გმირობანას გვეთამაშება ბატონი ხუხა, მოვლენათა პირუთვნელი არბიტრის ნიღაბი აქვს მორგებული და ვითომ ქვეყნის გადარჩენაზე მოფიქრალი გმირია, ამ დროს კი მაგრად ეშინია და მარცხენა თვალს „ნაცებისკენ“ რომ აპარებს, მარჯვენათი „ქართულ ოცნებას“ ზვერავს, ხოლო მესამე თვალით იმ ბუნდოვანი და მღვრიე მომავლის განჭვრეტას ცდილობს, რომელიც, არავინ იცის, რას უქადის ამ ცუდად აყრანტალებულ პოლიტიკურ ყვავს...

**ვახტანგ ხარჩილავა**

# „მფატრავი სანდრა“

## ადამიანების ორგანოებით ვაჭრობაში ეჭვმიტანილი „მფატრავი“ სანდრა ზუგდიდის მერობაზე კი არ უნდა იყურიდეს კენჭს, ციხეში უნდა იჯდეს!



**ქეთევან ზარნაძე: ის შემზარავი ამბები, რასაც ამ წერილში წაიკითხავთ, სხვებისგან კი არ მაქვს გაგონილი, საკუთარ თავზე მაქვს გადატანილი.**

**ციხეში ყოფნისას, ექიმთა ჯგუფმა, რომელიც ციხეებში სანდრა რულოვსის პატრონაჟის ქვეშ ატარებდა სამედიცინო გამოკვლევებს, ტუბერკულოზის მოურჩენელი ფორმა (ფილტვის კიბო) დამიდგინა. თუმცა, კეთილი ადამიანების დახმარებით მოხერხდა, რომ თოდუას კლინიკაში მაგნიტორეზონანსული კვლევა ჩამიტარეს, სანამ გაირკვევა, რომ აბსოლუტურად ჯანსაღი ფილტვები მქონდა.**

**მსგავს სიტუაციაში არამარტო მე, არამედ კიდევ 11 პატიმარი ქალბატონი აღმოჩნდა, რომლებსაც სანდრა და მისი ბანდა „მკურნალობდა“, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ მათ სამკურნალო არაფერი სჭირდათ...**

**მივმართავ საქართველოს პროკურატურას: დაუყოვნებლივ აღძარით სისხლის სამართლის საქმე სანდრა რულოვსის და იმ ექიმების მიმართ, რომლებმაც უამრავ ჯანმრთელ ადამიანს სასიკვდილო დიაგნოზი დაუსვეს, შემდეგ კი მიზანმიმართულად არასწორი მკურნალობით დააავადეს, დააინვალიდეს, სასიკვდილოდ გაიმეტეს.**

●

საქართველოში „გასაფუჭებელი“ ჯერ კიდევ ბევრია, ამიტომ „მფატრავი“ სანდრა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას – ის, რაც გადაურჩა ქმარს, უნდა გაანადგუროს ცოლმა, თუმცა, თავად, ქალბატონი სანდრა სულაც არ ყოფილა ისეთი ხელებსუფთა, როგორსაც მას ნაცები წარმოაჩენენ:

„მზად ვარ, ბრძოლაში შესვლისთვის. ძალიან მიხარია, რომ გაერთიანებულ ოპოზიციაში შემავალი თორმეტი პარტიის მანდატი მექნება“ – განაცხადა მან და რამოდენიმე დღეში „პოსტიც გამოაცხო“ – „დღეს ანაკლია და ლაზიკა მოვინახულე. მძიმეა უყურო ასე გაპარტახებულ დიდ პროექტს. მჯერა, რომ აუცილებლად გავაცოცხლებთ ლაზიკას იდეას და აქაურობას. ამაზეა დამოკიდებული არა მარტო საქართველოს ამ არაჩვეულებრივი მხარის – სამეგრელოს – განვითარება, არამედ მთელი საქართველოს წინსვლა.“

მრავალკურსებგავლილი სანდრა მალე მშენებლობის კურსებსაც გაივლის ალბათ, „გაპარტახებულ“ ქვეყანას „უშველოს“, მაგრამ მისი პატრონაჟით განხორციელებული პროგრამებით დასამარებულ, დაავადმყოფებულ ადამიანებს ვინ უშველის?

შეგახსენებთ, რომ სანდრა რულოვსი გაერთიანებული ერების ათასწლეულის განვითარების პროექტზე მუშაობდა, რომელიც დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის, – უკიდურესი სიღარიბით გამოწვეულ დაავადებების და ინფექციური დაავადების საკითხებს იკვლევდა.

2004 წლის ოქტომბრიდან სანდრა ელისაბედ რულოვსი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გახლდათ რომელიც საქართველოში: – შიდსის, – ტუბერკულოზისა და – მალარიის „გლობალური ფონდის“ მიერ სოლიდური თანხით უზუნველყოფილ გეგმებს ახორციელებდა.ამავე დროს ის აღმოსავლეთ ევროპაში გლობალური თანამშრომლობა „შევაჩეროთ ტუბერკულოზის“ ელჩი იყო. სანდრა გახლდათ აგრეთვე შობადობის მომწესრიგებელი („რეპროდუქციული“) ჯანმრთელობის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და საყოფაცხოვრებო დაცვის უწყებასთან არსებობს. ის მართავდა უწყების სამინისტროს საქმიანობას ისეთ საკითხებში, როგორიცაა აცრები, ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა. თუმცა სანდრას აღნიშნულ პერიოდში არანაირი სამედიცინო განათლება არ გააჩნდა. მან 2008 წელს საფერშლო კურსები გაიარა და ჯანდაცვის სფეროში“ ჩრდილოვანი“ მმართველის სადაავებიც უფრო მყარად ჩაიგდო ხელში...

წლების წინ სანდრას შავ საქმიანობასთან დაკავშირებით მყარ არგუმენტებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე დაყრდნობით წერილი გამოვაქვეყნე, რომელიც რამოდენიმე კვირის წინ „ტიფლის ნიუსმა“ ატვირთა თავის გვერდზე. ფრთებგაშლილი ნაცტროლები კომენტარებში წერილში მოყვანილ ფაქტებს სიცრუეს უწოდებენ და კითხულობენ თუ ეს სიმართლეა სანდრა რატომ არ მისცეს პასუხისგებაშიო?

მეც მაგას არ ვკითხულობ? ქალი, რომელიც ციხეში უნდა იჯდეს, ზუგდიდის მერობაზე იყრის კენჭს?

არ არის ეს უკიდურესი ცინიზმი?

რისი ბრალია ეს? რისი ბრალია და იმის, რომ მთავარ პროკურატურაში მყარად მოკალათებულ ადეიშვილის კადრებს 2012 წლის შემდგომ ვერცერთი მთავარი პროკურორი ვერ მოერია. ეტყობა სისხლით და ცოდვით ისე არიან ერთმანეთს შედუღებულები მხოლოდ სიკვდილი თუ დააცილებთ



ერთმანეთს. **მივმართავ მთავარ პროკურორს გამოიძიონ ეგრედწოდებული სანდრას პროგრამებით დაზარალებული ყოფილი პატიმრების აღძრული და შემდეგ შეჩერებული, „თაროზე შემოდებული“ საქმეები და დღეს არსებულ გაუგებრობას ნათელი მოეფინება. მხოლოდ პოლიტიკური ნებაა საჭირო და ობიექტური გამომძიებელი რომელსაც „მამხილებელი“ კომპრომატებით ვერ შეაშინებენ.**





„მიხეილუცოდველი“ გვარწმუნებს, რომ ადამიანებს ყველა ქვეყანაში კლავენ, მაგრამ არ მგონია ყველა ქვეყანაში მკვლელებს პრეზიდენტები მფარველობდნენ და მათი მეორე ნახევრები ორგანოებით ვაჭრობის, გაუმართლებელი ცდების და სხვა უბედურებებით იყვნენ დაკავებულები...

სანამ წლების წინ დაწერილ წერილს გაგაცნობთ შეგახსენებთ, რომ 2008 წელს ქალაქ თბილისის მერიისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის დაფინანსებით, სანდრა ელისაბედ რულოვსის პატრონაჟით ამოქმედდა ეროვნული სკრინინგ ცენტრი და განხორციელება დაიწყო პროგრამამ, რომელმაც მიზნად დაისახა გარკვეული ასაკობრივი ჯგუფების ქალბატონებში ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის სიმსივნეების ადრეულ სტადიაში გამოკვლევა. ხოლო 2012 წლის დასაწყისში. საქართველოში ტუბერკულოზის მკურნალობისა და პრევენციის ახალი პროგრამის პრეზენტაცია გაიმართა. რომლის გახსნაშიც ელჩი ჯონ ბასი, სანდრა რულოვსი, ჯანდაცვის მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილი და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორი ნატა ავალიანი მონაწილეობდნენ.საელჩოს ცნობით, ოთხწლიან პროგრამას, რომელსაც ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) განახორციელა, აშშ-ის მთავრობამ 4.4 მილიონი დოლარით დააფინანსა.სწორედ 2012 წლიდან აღმოაჩნდათ სრულიად ჯანმრთელ პატიმრებს ტუბეტკულოზის უმძიმესი „მდერ“ და „ქსდეერ“ ფორმები რომელსაც ქიმიური პრეპარატებით მკურნალობდნენ და გადარჩენილ პატიმრებს დღესაც უამრავი ჯანმრთელობის პრობლემები დაუტოვა.

### შემზარავი ფაქტები სანდრა რულოვსის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ

სკრინინგ პროგრამა განსაკუთრებით მძიმედ აისახა ქალ პატიმრებზე, სანდრას „სიკვდილის“ სკრინინგ ავტომანქანები ქალთა კოლონიას ხშირად სტუმრობდნენ.

რომელიმე პატიმრისთვის მკურნალობის კურსის ჩატარების შესახებ არ მსმენია.

სამაგიეროდ ერთნაირი დიაგნოზით – კიბო. კიბოს საწყისი ეტაპით პატიმარი ქალბატონების უმრავლესობას სასწრაფო წესით მიაქანებდნენ საოპერაციოდ და აჭრიდნენ საშვილოსნოს დანამატებთან ერთად.

როცა აღნიშნულმა პროცესმა მასიური ხასიათი მიიღო პატიმარმა ქალებმა დიაგნოზების შედარების შემდგომ აღმოაჩინეს, რომ ყველას ერთი უბედურება ჭირდა. რასაკვირველია გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ჩატარებული ოპერაციებით სერიოზული თანხა მიედინებოდა ვიღაცის ყულაბაში, თუმცა მაინცდამაინც საშვილოსნოებით და საკვერცხეებით რომელ გველეშაპს კვებავდა სანდრა, დღემდე გაურკვეველია...

პატიმარი ქალები სანამ აღნიშნულ საკითხზე ფიქრობდნენ, გველეშაპმა „ყაურმა“ მოინდომა და ფილტვის ოპერაციების სერიაც დაიწყო... ჯანდაცვაში დიდძალი საგრანტო დაფინანსებები შემოდიოდა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციებიდან, „გლობალ ფონდიდან“ , „იუესაიდიდან“ და ასე შემდეგ. ამ დაფინანსებებზე მაშინ ვერავის მიუწვდებოდა ხელი სანდრა რულოვსის ჩაურევლად. რაც უნდა გენიალური აზრი ან ინიციატივა ჰქონოდა ადამიანს, ჯანდაცვაში, გამორიცხული იყო გრანტი მიეღო, თუ იგი სანდრას ინტერესებშიც არ შედიოდა. მის გარშემო მყოფი არასამთავრობოები სისტემატურად ღებულობდნენ გრანტებს, არადა

ფაქტი ის იყო, რომ ჯანდაცვაში საქმე უკან მიდიოდა და არა წინ.

სხვათა შორის, ჯანდაცვის ყოფილ მინისტრს, სანდრას ფავორიტს, სანდრო კვიტაშვილს და რამდენიმე პიროვნებასაც ჰქონდათ არასამთავრობო, რომელიც გრანტით ფინანსდებოდა. ეს არასამთავრობო გრანტებს უწყვეტად ღებულობდა, მაგრამ სინამდვილეში რას აკეთებდა, ან საერთოდ აკეთებდა თუ არა რამეს, ესეც არავინ იცოდა. ერთადერთი მაღალჩინოსანი ვინც ნაციონალების დროს, ამ სამინისტროდან ციხეში წავიდა, კოკა ფრუიძე იყო და მისი დაპატიმრების ერთ-ერთ რეალურ ვერსიად, სწორედ სანდრასთან მის უთანხმოებას ასახელებდნენ. სანდრას ინტერესები საავადმყოფოების პრივატიზაციის პროცესებშიც იდო და მათი ინტერესებიც ამ დროს გადაკვეთილა.

მართალია, ფრუიძე სრულიად სხვა ფაქტის გამო დააპატიმრეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩაუსაფრდნენ და...

„100 საავადმყოფოს“ პროექტთან დაკავშირებული სამართლიანობის აღდგენის პროცესი, დღემდე არ დაწყებულა. ამის გარკვევას თუ ოდესმე ვინმე დაიწყებს, იქ აუცილებლად ამოვარდება „ქველმოქმედი“ ექსლედის ინტერესები, მაგრამ სააკაშვილი ისეთ გონორზეა და ეს ხელისუფლებაც იმდენს აბედინებს, არა მგონია ეს რომ მოხდეს.

„ტუბერკულოზის პროგრამაც“ ხომ სანდრას სახელს უკავშირდებოდა. იგი საერთაშორისო ორგანიზაციაში ტუბერკულოზის პროგრამის წარმომადგენელი გახლდათ. საქართველოში ტუბერკულოზის მართვა რომ არ ხდებოდა ეგეც თვალნათელი იყო, რადგან ციხეებშიც და გარეთაც ტუბერკულოზი მძვინვარებდა და მისი პროფილაქტიკა და აღრიცხვა არ ხდებოდა.

ტუბერკულოზის ცენტრის გარემონტება დაავადებასთან ბრძოლის ერთი პატარა სეგმენტი იყო და მთავარი დანარჩენი გახლდათ. ისინი აცხადებდნენ, რომ ტუბერკულოზს ვერ, ან არ მართავდნენ, რადგან ის ატიპური ფორმები განვითარდა. ეს კი გამოიწვია არასწორმა მკურნალობამ და თანმხლებმა დაავადებებმა, რომელიც პროგრამის არასწორი მართვის შედეგი იყო. საქმე იმაში გახლდათ, რომ ატიპური ფორმების გამოვლენის დროს ტუბერკულოზის მკურნალობა უფასო აღარ იყო და დიახაც რომ აქ იყო „ძაღლის თავიც დამარხული“ , ანუ ყველაფრისგან ფული კეთდებოდა ხალხის გაუბედურების ხარჯზე და ამას ყველა კადრულობდა, მათ შორის, პირველი ლედიც. თუ ამ საქმეების გამოძიება და სიმართლის გარკვევა შეუძლებელია, ხელისუფლებამ ის მაინც გააკეთოს, რომ ასეთ ადამიანებს კიდევ არ აყრევინოს ხალხისთვის თვალში ნაცარი. ბოლოს და ბოლოს ამ თემებზე ლაპარაკით მაინც. სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშის მიხედვით, ციხეებში პატიმართა სიკვდილიანობა, 2009 წელთან შედარებით, 50%-ით იყო გაზრდილი. სახალხო დამცველის ინფორმაციით, გარდაცვლილ პატიმართა რაოდენობამ 2010 წელს 142 შეადგინა, როდესაც ეს მაჩვენებელი 2009 წელს 100-ზე ქვემოთ იყო.

სახალხო დამცველი პატიმართა გარდაცვალების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ტუბერკულოზს ასახელებდა, ასევე გულსისხლძარღვთა და სხვადასხვა ინფექციურ დაავადებებს, მათ შორის ძალიან ბევრი გარდაცვლილ პატიმარს ტუბერკულიოზის გარდა ც ჰეპატიტი აღენიშნებოდა; ეს გაკვეთის შედეგებმა დაადასტურა. გიორგი ტუღუშის განცხადებით, ტუბერკულიოზთან დაკავშირებული პრობლემა გაღრმავდა არათუ მოგვარდა. სწორედ აღნიშნულ პერიოდში შემოაქვს სანდრას დოც და დოც+პროგრამა, ასევე 2010 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა „სიკვდილის ექსპორტს“ – როდესაც ფაქტიურად გარდაცვლილი პატიმრები სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გაჰყავდათ. ძალიან ბევრი პატიმარი, რომელიც გაიყვანეს სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ან პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებიდან შეიძლება გზაში არ გარდაიცვალა, მაგრამ მაქსიმუმ ორი დღე იცოცხლა სამოქალაქო ტიპის საავადმყოფოში. ეს მონაცემები დეტალურადაა ანგარიშში. იმავე ანგარიშში არაერთი სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლის გვარი და სახელია მითითებული, რომლებიც შემჩნეული იყვნენ პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობაში. ფილმში „ჰეროკრატია“ მეორე ნაწილი, ციხის ექიმის და ნაწამები პატიმრის შეხვედრით მთავრდება ექიმი ნაწამებ პაციენტს დაზიანებებს თვალნათლივ ხედავს, მაგრამ ფორმა 100-ში არ უფიქსირებს, სამაგიეროდ ეუბნება, რომ „ტუბი“ სინამდვილეში არა აქვს, მაგრამ სპეცზონაში უშვებს იმ იმედით, რომ იქ „აიკიდებს“ .

სანდრას „ბიზნესს“ ნაცხროვა „ნედლეულით“ დიდი მონდომებთ ამარაგებდა. აღნიშნულ პერიოდში პატიმრების რაოდენობა 25.000 ზე მეტი იყო აქედან 3.000 ქალი... საქართველოს და ქართველების „სიყვარულით“ დამდნარი წყვდიადის დედოფალი სანდრა 2010 წელს როცა პატიმრების რაოდენობამ და მათმა სიკვდილიანობის ციფრმა პიკს მიაღწია ვიზიტის ფარგლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრება და გზად პოლონეთში შეივლის (საინტერესოა ვის და რის ხარჯზე მოგზაურობდა განუწვეტლივ) ჯანდაცვის საკითხებზე საქართველო-ამერიკის ორმხრივ კონფერენციას დაესწრება, რომელიც საქართველოს პირველი ლედის თავმჯდომარეობით გაიმართა. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ 2011 წელს ქალთა რუსთავის მეხუთე დაწესებულებას ხათუნა კალმახელიძე სტუმრობდა „ბანდასთან“ ერთად იმ დღეს მინისტრს დაბადების დღე ქონია და „დაღლილი“ ხათუნა პარიზში „გაუტაცებია“ პრეზიდენტს. იქ როგორ მიულოცავდა დაბადების დღეს დაქანცულ მინისტრს ვინ იცის...მე სარწმუნო წყაროდან გავიგე ეს „სათუთი“ ამბავი, რომელსაც სანდრაც აუცილებლად გაიგებდა, თუმცა ნაკლებად შეიმჩნევდა ჯაშუშობა ხომ დიდ მსხვერპლს მოითხოვს... ასე რომ ჯანდაცვის საკითხებს საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზეც წლების განმავლობაში ექთანი გვიწყვიტავდა, ექთანი რომელსაც ქმარი ნაცელიტის მახინჯმანებს ლამის თავზე „იმასშვებოდა“ ...2010 წლიდან 2012 წლამდე კარგად მომზადდა ნიადაგი სასჯელაღსრულების სისტემაში „ტუბის“ ახალი პროგრამით პატიმრების დასაჩმორებლად და დიდი თანხების გასათეთრებლად. ქონდა თუ არა პატიმრებს ტუბი მაინც აღრიცხავდნენ, რათა „დოცი „ და „დოც+“ პროგრამა წარმატებით შემოსულიყო ჩვენს ქვეყანაში სანდრას პატრონაჟით და ადამიანების გვამებზე და ძვლებზე სიარულით ათეულობით მილიონით შეევსო „ოჯახის“ ყულაბა. ცნობილია, რომ ტუბერკულოზის დაავადების საშიშროება იზრდება მაშინ, როდესაც იმუნიტეტი დასუსტებულია არასრულფასოვანი კვებით, სტრესებით, ქრონიკული დაავადებებით. ამიტომ ტუბერკულოზისგან დამცველი ძალების გასაძლიერებლად საჭიროა პირადი ჰიგიენის დაცვა, ვიტამინებითა და მიკროელემენტებით მდიდარი საკვები, რეგულარული ფიზიკური დატვირთვა და ასე შემდეგ ასე, რომ ციხე და კოლონია ტუბერკულიოზის გასავრცელებლად და „სახეიროდ“ შესაფერისი ადგილი გახლდათ. 2012 წლის მაისში მედიის საშუალებით“ პიკასო ფერებში“ გავრცელდა ინფორმაცია თუ როგორ გახსნეს საქართველოს პირველმა ლედიმ სანდრა ელისაბედ რულოვსმა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის ახალი კორპუსი, სადაც თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური აპარატურით აღჭურვილი კლინიკა ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმის მქონე პაციენტებს მოემსახურებოდა.სიამაყით განაცხადეს, რომ ცენტრი ყველა იმ სტანდარტს აკმაყოფილებდა, რაც აუცილებელი იყო გადამდები დაავადებების გავრცელების შემცირებისა და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. 97-საწოლიანი საავადმყოფო დაკომპლექტებული მაღალკვალიფიციური პერსონალით, რომელთაც ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმის მკურნალობაში სპეციალური გადამზადება გაიარეს. ასევე სიამაყით განაცხადეს, რომ საქართველოში რეზისტენტული ტუბერკულოზის სახელმწიფო პროგრამა ფუნქციონირებდა, რომლის ფარგლებშიც, დაავადების დიაგნოსტიკა და შემდგომი მკურნალობა ხორციელდება. პროგრამის ფარგლებში პაციენტები უფასოდ ისარგებლებდნენ მაღალხარისხიანი სამედიცინო მომსახურებით და ყველაზე საინტერესო – ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის შენობის რეკონსტრუქცია „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია – აღჭურვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის მხარდაჭერით დაფინანსდა. ტუბერკულოზით დაავადებების სტატისტიკამ-ციხეებში სანდრას გააქტიურების შემდეგ მოიმატა: 2010–895 შემთხვევა; 2011–800. 2012 წელს კი 457 შემთხვევა და აღნიშნულ ორ წელიწადში 284 დაწესებულებაში გარდაცვლილი პატიმარი, რომლებსაც სიკვდილის წინა დღეს ან რამდენიმე საათით ადრე უშვებდნენ, რომ მიცვალებული ნაკლებად „დაწეროდათ“

„მაღალკვალიფიციურ პერსონალს“ რომ გესტაპოს სკოლა გაატარეს ფაქტია მეც კარგად მახსოვს და მამაკაც პატიმრებსაც ემახსოვრებათ „მაღალკვალიფიციური პერსონალი“ თინა მახარაძე კოორდინატორი „ ტუბიდან“ რომელიც №6 დაწესებულებაში, დამწყვდეულ საკანში პატიმრებს „დოც+“ ფარგლებში „ქსდეარს“ ქიმიოთერაპიით „მკურნალობდა“ . წარმოუდგენელია ქიმიოთერაპიით მიყენებული ტკივილების აღწერა, უჰაერობაში, შესაბამისი კვების და ყურადღების გარეშე, გაუსაძლისი ტკივილით. სანდრას ექსპერიმენტს ციხე კოლონიაში თინა მახარაძე კურირებდა. მე პირადად მქონდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ქონდათ მცდელობა ჩემი ინფიცირების. თუმცა ჯანმრთელი ორგანიზმის წყალობით გადავრჩი. მაშინდელი სამედიცინო დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ასათიანი დაწესებულების დირექტორის კაბინეტში მარწმუნებდა რომ იქსდეარით ვიყავი ინფიცირებული არსებობდა ეპიდემიის საფრთხე და საჭირო იყო ჩემი იზოლაცია და სტაციონარში კვლევის გაგრძელება. მაშინ გამიჭირდა დამეჯერებია, რომ ადამიანები ვინც მიშას და სანდრას გვერდით იდგნენ მხოლოდ ცოფიანი მხეცის ინსტიქტით მოქმედებდნენ. გამივრცელეს დეზინფორმაცია რომ ჩემი დაავადება დაფრინავდა, რომ მქონდა ფილტვზე კიბო და რამოდენიმე დღის სიცოცხლე მქონდა დარჩენილი. ძნელია ადამიანმა წარმოიდგინოს ამ ინფორმაციის გაგების შემდეგ რა ემართება პატიმარს, ჯერ ერთი აღარც თავისუფლება უნდა, რადგან ოჯახის წევრები არ დააინფიციროს, ყოველდღიური ქიმიოთერაპიით დაუძლურებელ სხეულს, სულიც გათიშული აქვს და მისთვის ყველაფერი სულ ერთია იმ გაუსაძლისი ტკივილის გაყუჩების გარდა, რომელსაც წყვდიადის დედოფალი დატრეინინგებულ ვამპირების დახმარებით ექსპერიმენტების, გამდიდრების და მხეცური ჟინის დასაკმაყოფილებლად გაყენებს... მოკლედ მყისიერად აღმოვჩნდი სანდრას გახსნილ ნაქებ საავადმყოფოში სადაც პატიმრებისთვის სამი საკანი ყოფილ მორგის შენობაში იყო განთავსებული იქ, კიდევ ერთმა დატრეინინგებულმა ექიმმა გვარად (ერისთავმა) მომახსენა რომ დაავადება რომელიც მე მჭირდა არ იკურნებოდა შეიძლება ექვსი თვე მეცოცხლა, ცოტა მეტი ან ცოტა ნაკლებიც. თუმცა სამი წელი უპირობოდ უნდა მიმეღო ქიმიური პრეპარატები. მითხრა რომ ფილტვები უკვე დაშლის ფაზაში მქონდა...უფლებადამცველმა სალომე აბულაძემ საავადმყოფოში გადაყვანიდან მეორე დღესვე მომაკითხა და კატეგორიულად მოითხოვა თოდუას კლინიკაში ჩემი გაყვანა და მაგნიტორეზონანსული კვლევის ჩატარება, დიდი ბრძოლის შემდეგ გამიყვანეს. გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ არათუ ფილტვის კიბო ან ტუბერკულოზი, არამედ ჯანსაღზე ჯანსაღი ფილტვები მქონდა.





(გაგრძელება იქნება)

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30



# „12 მოციქული", ანუ ვაი, ჩვენს პატრონს!

როდესაც ვასილ მაღლაფერიძემ „საზოგადოებრივი მაუწყებელი" ანუ „პირველი არხი" ჩაიბარა თუ ჩააბარეს, რატომღაც მეგონა, ჩვენი ჯიბიდან 50 მილიონი ლარით დაფინანსებული (როგორც დიდი აქუ იტყვის ხოლმე) „კანტორა" სულ სხვანაირი ორიენტაციისა გახდებოდა – უფრო ეროვნული, უფრო ხალასი, უფრო ნაღდსიტყვიანი და უფრო ქართული, საგანმანათლებლო-კულტურული გადაცემებით გაჯერებული, მწერლობასა და ავტორიტეტულ ადამიანებზე მოსაუბრე. პრინციპში, კი არ მეგონა, უბრალოდ მინდოდა, ასეთი ყოფილიყო. თუმცა მალევე მივხვდი, რომ თავს ვიტყუებდი. ალბათ, გახსოვთ, ამას წინებზე „პირველ არხს" ე.წ. არასამთავრობოებმა („სოროსის ფონდმა" და თამარ კინწურაშვილის „ ე.წ. „მედიის განვითარების ფონდმა") შეუტიეს, ბოლო დროს პრორუსული ორიენტაცია მოგვეძალათო.



ამათ, ამ „პირველარხელებმა" ქოშები უკუღმა ყარეს, რას ბრძანებთ, როგორ გეკადრებათ, დღე და ღამე ნატო და ევროკავშირი გვაკერია პირზეო. მე თუ მკითხავთ, ამათ პრორუსულობა კი არა, სიბანძე და ე.წ. ლიბერალობა უფრო მოემალათ. მაგალითი გნებავთ? ა, ბატონებო, ახლავე მოგართმევთ: რამდენიმე თვის წინ მუსიკოს დავით ევგენიძეს დაუარსებია გადაცემა „მუსიკის 12 მოციქული" და იცით, ერთ-ერთი მოციქული ვინ გახლავთ? ვაიმეეე... ერეკლე დეისაძე, თავის დედაზე რომ უდგება და ეჩუტება. წინა კვირას ევგენიძეს მიუწვევია „პირველი არხის" სტუდიაში, გაუკეთებია ყურებზე „ნაოშნიკები" და ლამის ძეგლიც დაუდგამს. შენაო, ქუთაისური კულტურის სიმბოლო ხარო, სიტყვას და მუსიკას ისე აზავებ ერთმანეთში, ბეთჰოვენი და მოცარტი შურით საფლავებში ტრიალებენ, ნეტა როგორ ახერხებ ამასო? სანამ დეისაძის აბრაკადაბრაზე გადავალ, მერე რომ არ დამავიწყდეს, ბარემ გეტყვით: აქამომდე დავით ევგენიძე სერიოზული კაცი მეგონა (მის ხელოვნებასთან არ მაქვს პრეტენზია), უფრო ტრადიციული და უფრო ნაღდი სიტყვა-მუსიკის მოტრფიალე... ახლა კი რა გამოდის? ამანაც გამიცრუა იმედი ისევე, როგორც ვასილ მაღლაფერიძემ.

მოკლედ, მას შემდეგ, რაც ერეკლე დეისაძემ შეიფერ-შეისისხლხორცა ქება-დიდება, ევგენიძეს ასე უპასუხა: „ჩემი პირველი დაინტერესება მაინც უკავშირდება ქუჩას და იმ ზეპირსიტყვიერებას, რაც ქუჩაში არსებობს, ადამიანებს შორის არსებობს, ხშირად ეს შეიძლება იყოს ლაყბობა, არასაინტერესო, მაგრამ ეს არის კომუნიკაციის ფორმა, რომელიც ძალიან საინტერესო დაკვირვების საგანი იყო ჩემთვის ბავშვობიდანვე იმიტო, რო სიტყვა იყო, რომლის გამო ადამიანებს ერთმანეთი ძაან მარტივად გაეწირათ, ან სიტყვა იყო, რის გამოც ერთმანეთს ხელს ჩამოართმევდნენ, გადაეხვეოდნენ და ძმაკაცობდნენ... ეს ზეპირსიტყვიერების ფოლკლორი, რომელიც დაუწერელია"...



აქ ევგენიძე ეხმარება დეისაძეს, სიტყვას აშველებს: თაობიდან თაობაში გადადისო.

ხედავთ, ჩემო ძვირფასებო და მშვენიერებო? დეისაძეს ისეთი ტვირთი აუღია საკუთარ თავზე, ცხონებულ ნოდარ დუმბაძესაც კი შეშურდებოდა. ამ ადამიანმა ქუჩა, ქუჩის უინტერესო ფოლკლორი აიყვანა ქუთაისური ხელოვნების მწვერვალზე და ისერიგად აიყვანა, რომ „პირველმა არხმა" არა მხოლოდ გადაცემები უნდა მიუძღვნას, არამედ ძეგლიც უნდა დაუდგას საღორიის ტყის მისადგომებთან. არა, არა, როგორც ამ წუთას მაცნობეს, საღორიის ტყესთან უკვე დგას მისი ძეგლი, ახლა თბილისშია საჭირო, „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ეზოში.

ეს კიდევ არაფერი, ჯერ სად ხართ? თურმე დეისაძეს ბავშვობაში პოეზიის 12 ტომი წაუკითხავს და გონება განათებია – მიმხვდარა, რომ ეს იყო იარაღი, რომელიც მომავალში გამოადგებოდა და მართლაც, გამოადგა, შემდგომში ბევრნაირად „ტრანსფორმირდა" მის დიად შემოქმედებაში პროზის სახით, პოეზიის სახით, სიმღერის სახით. მეტიც, დეისაძის დავთრების თანახმად, თუ გინდა, რომ შენ თანამედროვე მსოფიოს ნაწილი იყო, საკუთარ ენაში უნდა ეძებო ის კოდი, რომლითაც შენ ამ მსოფიოს დაელაპარაკები. ვერ გაიგეთ, ხომ? ახლავე აგიხსნით, თუ გინდა, რომ თანამედროვე მსოფლიოს ელაპარაკო, „ქუჩის ფოლკლორი" უნდა გამოიყენო, იქ დევს კოდი, გასაღები. იცოდეთ, თანამედროვე ცივილიზაციას საერთოდ არ ესმის სუფთა, თავანკარა ქართული... უფრო სწორად, ილიასეული და აკაკისეული ქართული უკვე მოძველდა, ახლა ქუთაისურ-ქუჩურ-ქიჩმაჩურია „ხოდში", თანაც დეისაძისებური ინტერპრეტაციით, რომელსაც დავით ევგენიძე აბსოლუტურად ეთანხმება.

ესეც კიდევ არაფერი, ჯერ სად ხართ?

ერეკლე დეისაძე: „მე პირველ რიგში თავს ენის მსახურად მივიჩნევ, როდესაც მუსიკაზეა საუბარი... რეალურად რომ აღვნიშნო, ოთხ აკორდზე მეტი არ ვიცი გიტარაზე, ყველაფერს ვაკეთებ სმენით, დაკვრითაც... ეს მელოდია უფრო თავშია, რომელსაც მე გადმოვცემ".

მე არ ვარ მუსიკოსი, არც მუსიკის სპეციალისტი, მაგრამ აშკარად ვხვდები, რომ დეისაძე ამ სფეროშიც (როგორც პოეზიასა და პროზაში) ჩუგუნია. თვითონვე ამბობს, ოთხი აკორდი ვიცი გიტარაზეო. ეს კი იმას ნიშნავს, ბუღალტერმა რომ ოთხამდე თვლა იცოდეს მხოლოდ. თან აქ გაუგებარია, ნოტი იცის ამდენი თუ აკორდი. აქ ევგენიძეს ოდნავ ეღიმება, სახეზე აწერია, ამას სოლფეჯიოს შესახებ გაგონილიც არ ექნებაო და უტარებს, არაფერს ეკითხება.

ცნობისათვის: 6-სიმიანი გიტარისთვის, რომელსაც, სავარაუდოდ, დეისაძე ხმარობს, არსებობს 2341 აკორდი, ხოლო მთლიანობაში, ანუ ფორტეპიანოსთვის და სხვა ინსტრუმენტებისთვის არსებობს 4017 აკორდი. ახლა ხვდებით, რა დონის მუსიკოსთან გვაქვს საქმე? იქნებ ევგენიძეც ვერ ხვდება და თავს ისულელებს? დარწმუნებული ვარ, ქართული ენის მსახურმა დეისაძემ ანბანიც არ იცის ბოლომდე... ნუ, ოთხი ასო-ბგერა ეცოდინება, არაა პრობლემა.

ევგენიძე მაინც ვერ ითმენს და დეისაძეს მორიდებით ეკითხება: „ესე იგი, სოლფეჯიო არ იცი"?

დეისაძე: „არაფერი არ ვიცი".

არაფერი არ ვიციო... და ამ ადამიანს წარმოგვიდგენენ, როგორც ნიჭიერს, როგორც ქართული მუსიკისა და სიტყვის ქურუმს. ამის შემდეგ დეისაძე გვესაუბრება ადამიანის მიკრო-სამყაროზე, სიმარტოვეზე, მუსიკის შეგრძნებაზე, ქართველის ტკივილზე, რომელიც იგივეა სხვა კონტინენტზე მცხოვრებთათვის. დეისაძე აღმოჩენასაც აკეთებს – მიხვდა, რომ ყველა ადამიანს რაღაც აქვს საერთო.

ევგენიძე ცდილობს, გაუნათლებელი დეისაძე უფრო ღრმად ჩაიყვანოს ცხოვრებისეულ წიაღში და ისიც მიჰყვება, ისიც გვიამბობს, თუ როგორ გამოიწვია საზოგადოება დუელში თავისი ეპატაჟური საქციელით.

ერეკლე დეისაძე: „მსმენელი საერთოდ ისეთი რამეა, არ უნდა ენდო ბოლომდე, ვინც ენდობა, იგი თავისა მტერია".

დავით ევგენიძე: „ესე იგი, მე ვყოფილვარ ჩემი თავის მტერი".

ერეკლე დეისაძე: „ცვალებადი რამეა მსმენელი, მით უმეტეს, ისეთ სივრცეში, როცა არსებობს ინტერნეტი, რა მუსიკალური კედელიც ჩემში არსებობდა, ინტერნეტმა მოშალა, ვიღაც ავტორები... რომ მეგონა, სიმღერები მათი იყო, ალმოჩნდა გადმოკოპირებული. უამრავმა ინფორმაციამ დაცრა ყველაფერი".

ესე იგი, მას შემდეგ, რაც ინტერნეტმა „დაცრა" ყველაფერი, დეისაძე მიხვდა, რომ მუსიკას ვეღარ გადმოაკოპირებდა და საკუთარი „ნიჭის" ამარა დარჩებოდა. ერთი ხანობა დაიბნა, მაგრამ რა უნდა, ბიჭო, ჰანგების გადაკეთებას, მით უმეტეს მაში, როცა არაფერი იცი?

შეიძლება თუ არა, ერთმა ასომ (რატომღაც ესენი ასოს ახსენებენ) შეცვალოს ადამიანის ბგერა? ბაზარი არ არი, დეისაძე ამბობს, იმ ავადსახსენებელ წიგნს, მე რომ დავწერე, ერთი ასო შევუცვალე, რომ დამეტოვებინა, რაც იყო, ხომ არაფერი მოხდებოდაო? ერთმა ასომ გამოიწვია საქართველოში დიდი კატაკლიზმები, ქარიშხალი, წყალდიდობა, მიწისძვრა... დეისაძეს რომ „საიდუმლო სირობის" ნაცვლად დაეწერა „საიდუმლო სერობა", გადავრჩებოდით. ალბათ, გახსოვთ თბილისის წყალდიდობა, ვერეს ხეობიდან მოვარდნილი ღვარცოფი. ეგ იყო, მაგის გამო იყო. თუმცა დეისაძე მაინც ბედნიერია, ამ კატაკლიზმებით მიხვდა, რომ მომავალში შეეძლო, ხალხისთვის თავისი სათქმელი ეთქვა და გადმოხეთქა კიდევაც მისი სულიდან პოეზიამ. ესე იგი, უფრო გასაგები რომ იყოს, დეისაძის პოეზიას საფუძვლად დაედო „საიდუმლო სირობა". ისე, რაღა დაგიმალოთ და... ევგენიძეს აშკარად ეტყობოდა თვალებზე, რომ არც ერთი ჰქონდა წაკითხული და არც მეორე, არც წიგნი და არც პოეზია.

გამოდის, გადაცემა მიჰყავს ადამიანს, რომელსაც არ წაუკითხავს რესპონდენტის შემოქმედება, ხოლო გადაცემაში ხელოვნებაზე, თავის ე.წ. შემოქმედებაზე გველაპარაკება ადამიანი, რომელმაც არაფერი არ იცის. ჩვენ კი... ჩვენ კი რა? ვსხედვართ და ვუყურებთ იმ სისულელეს, რომელშიც წელიწადში ვიხდით 50 მილიონ ლარს. ვაი, ჩვენს პატრონს!

**P.S.** თქვენი არ ვიცი და... მე მაინც მგონია, რომ დავით ევგენიძემ გადაცემაში ერეკლე დეისაძე იმიტომ მიიწვია, იუდას ადგილი შეევსო.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# მოსამართლეთა არჩევის თემა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე საპარლამენტო არჩევნები



*გვესაუბრება „იურისტთა და ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის“ ხელმძღვანელი, ადვოკატი გრიგოლ გაგნიძე.*

**— ბატონო გრიგოლ, არაერთხელ გვისაუბრია ჩვენს ქვეყანაში სასამართლო სისტემის შეცვლის აუცილებლობაზე. თუმცა დღეს იგივე პრობლემებია, რაც იყო და სიტუაცია კვლავ უცვლელია. თქვენი აზრით რატომ?**

— დიახ, თქვენი გაზეთით და სხვა მედიასაშუალებებით არაერთხელ გაგვიკეთებია განცხადებები დაგროვილ პრობლემებზე. სიმართლე გითხრათ, ჩვენი წინადადებები ხელისუფლების წარმომადგენლებს გაუთვალისწინებიათ თავიანთ პროგრამებში, თუნდაც რეკომენდაციის სახით. ჩვენი ორგანიზაცია, მოგეხსენებათ, მართლმსაჯულების განვითარების კუთხით სახელმწიფო უწყებებთან



აქტიურად არის ჩართული. ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს, ვინ განახორციელებს ცვლილებებს ჩვენი თუ სხვისი რჩევით, მაგრამ მთავარია, ქვეყნისა და მართლმსაჯულების განვითარებისთვის კარგი საქმე გაკეთდეს. სასამართლო, პროკურატურა, ადვოკატურა, მოგეხსენებათ, მონათესავე პროფესიებია, რადგან შეიძლება პროკურორი მოსამართლე ან ადვოკატი გახდეს, როგორც ადვოკატი, პროკურორი ან მოსამართლე დღეს ჩვენი ბევრი კოლეგა გამოხატავს გულისტკივილს თავიანთ სფეროებში არსებულ ნაკლოვანებებზე, შენიშვნებს, რომლებსაც ვაცნობებთ ხოლმე საზოგადოებას. რაც შეეხება სასამართლოს. ახლა დღის წესრიგში დგას უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის საკითხი. თემა, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობაშიც კი „გახეთქილების ვაშლი“ გახდა. ხელისუფლება არ ეთანხმება იმ კანონპროექტს, რომელიც ოპოზიციამ და უმრავლესობის ყოფილმა წევრებმა წარადგინეს. ასევე პირიქით — ხელისუფლების წარმომადგენლები არ დათანხმდებიან მათ. ახლა საინტერესოა, რას იტყვის ვენეციის კომისია, რა რჩევას მოგვცემს, რა დასკვნას გააკეთებს. აქ მსურს აღვნიშნო, რომ ცვლილებების ძალაში შესვლამდე მოქმედებს ორგანული კანონი, რომლითაც დღეს მოსამართლეები ინიშნებიან, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა, რომლის მიხედვით აუცილებელი არ არის, მოსამართლეს გამოცდები ჰქონდეს ჩაბარებული. ახალი პროექტით უმრავლესობა და იუსტიციის საბჭო ითხოვენ, უზენაეს სასამართლოში ვინც გამწესდება, ჰქონდეს გამოცდები ჩაბარებული. დღემდე, როგორც გითხარით, ასე არ იყო. ამას არ თანხმდებიან უმრავლესობიდან წამოსული პარლამენტარები, რომლებმაც ოდნავ განსხვავებული კანონპროექტი წარადგინეს პარლამენტში, რომლის განხილვასაც მეც ვესწრებოდი. მათი კანონპროექტით, აუცილებელი არ არის, პიროვნებას სამოსამართლო გამოცდები ჰქონდეს ჩაბარებული, იქნება აკადემიური, სადვოკატო თუ სხვა წრეებიდან მოსამართლეობის მსურველს. ხელისუფლების წინადადება, რომ სერტიფიცირებული იურისტი გამწესდეს უზენაეს სასამართლოში, შესაძლოა, მისაღები იყოს, მაგრამ მოწინააღმდეგეებს აქვთ სხვა მოსაზრება. იმ შემთხვევაში, თუ გამოცდების ჩაბარება არ იქნება აუცილებელი, კონკურსი გაიზრდება, რადგან მსურველი ბევრი იქნება.

**— გასაგებია, მაგრამ გამოცდილება, კომპეტენცია, პრაქტიკა ხომ არის აუცილებელი, არამხოლოდ სასამართლო, საერთოდ, ნებისმიერ სფეროში.**

— დიახ, რა თქმა უნდა, რასაც თქვენ ამბობთ, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. პროექტში არის ჩანაწერი, მოსამართლეობის კანდიდატს ხუთწლიანი იურიდიული გამოცდილება უნდა ჰქონდეს, რასაც პირადად მე არ ვეთანხმები. თუ უზენაეს სასამართლოში შეიძლება გამწესდეს პირი, რომელსაც მოსამართლის გამოცდები რა ექნება ჩაბარებული, ამ შემთხვევაში მინიმუმ ათწლიანი იურიდიული პრაქტიკული გამოცდილება უნდა ჰქონდეს, კონკრეტულად სასამართლოსთან შემხებლობის პროფესიებში. აქედან გამომდინარე, უპირატესობა უნდა გვქონდეს ადვოკატებს და თავისთავად პროკურორებს, თუმცა ბოლო დროს პროკურორები გაცილებით ბევრია გადასული სასამართლო სისტემაში, ვიდრე ადვოკატები, ასევე აკადემიური წრეების წარმომადგენლები, ამასთან, იმასაც გეტყვით, რომ დღეს ადვოკატს შეუძლია გადავიდეს პროკურატურაში, კონკურსის გავლის შემდეგ, გამოცდების ჩაბარების გარეშე, მაგრამ მოსამართლე ვერ გახდება გამოცდების ჩაბარების გარეშე, ეს პირველი და მეორე ინსტანციაში. რაც შეეხება უმაღლეს სასამართლოს დღევანდელი კანონით, რომლის შეცვლაც უნდათ, გარკვეული ეტაპის გავლის შემდეგ შესაძლებელია. თუ ხელისუფლება გაიტანს კანონპროექტს, რომლის მიხედვითაც უზენაეს სასამართლოში გამოცდები აუცილებელი იქნება, ამ შემთხვევაში გამოდის, რომ დღემდე გამწესებული მოსამართლეები, რომლებსაც გამოცდები ჩაბარებული არ აქვთ, გამოდის, არაკვალიფიცირებულები არიან? ასეთ შემთხვევაში მოსამართლეებს უნდა ჩააბარებინონ გამოცდები, ან გაათავისუფლონ და ხელახლა ჩააბარებინონ და ისე დანიშნონ. შესაძლოა, უსამართლობის განცდა გაჩნდეს იმ კოლეგებში, რადგან ხედავენ, რომ დღეს წარმოდგენილია კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც აუცილებელია გამოცდების ჩაბარება, ამ დროს უზენაეს სასამართლოში არასერტიფიცირებული მოსამართლეებიც მუშაობენ. თუმცა დაველოდოთ ვენეციის კომისიის დასკვნას. ევროპელი კოლეგებისგან ვიცი, რომ იქ სასამართლოებში პროცენტულად ბევრი ადვოკატია გადასული მოსამართლედ, ვიდრე სხვა უწყებიდან, თუნდაც პროკურატურიდან. ჩვენთან კი პირიქითაა. ჩემი აზრით, რეფორმები სასამართლო სისტემაში კიდევ რამდენიმე წელი გაგრძელდება, მალე არ დამთავრდება.

**— ბატონო გრიგოლ, ხომ უნდა იყოს მოსამართლე პასუხისმგებელი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე?**

— თუ მოსამართლემ გამოიტანა განაჩენი, მაგრამ საერთაშორისო სასამართლომ არაკანონიერად ცნო, ასეთ შემთხვევაში გერმანიაში არის რეგრესის წესი, ანუ, თუ სახელმწიფოს მოუხდა დაზარალებულისთვის კომპენსაციის გადახდა, მოსამართლეს ეკისრება ზარალის ანაზღაურება, ხელფასიდან ექვითება გარკვეული რაოდენობის თანხა ბიუჯეტის სასარგებლოდ. ვიდრე ჩვენს ქვეყანაში არ ამუშავდება მსგავსი რეგრესის წესი, სამართლიანობა არ აღდგება. ასევე უნდა იყოს მოსამართლეთა დისციპლინარული გადაცდომების ინსპექტორი. ახლაც არის იუსტიციის საბჭოს შემადგენლობაში, მაგრამ, ვფიქრობ, სრულიად დამოუკიდებელ ორგანოდ უნდა ჩამოყალიბდეს, რათა მოსასმართლეებზე კონტროლის მექანიზმები არსებობდეს. მოსამართლეების არასწორი გადაწყვეტილებები აზიანებს ჩვენი ქვეყნის იმიჯს.

**— მოსახლეობაში უკმაყოფილებას იწვევს ის გარემოებაც, რომ დღეს სამართლიანობაზე საუბრობენ ისინი, რომლებიც არაერთხელ არიან სიცრუეში მხილებულები.**

— დიახ, ასეა. ამიტომ მათ არ უნდა მიეცეთ კრიტიკის საფუძველი. სასაცილოა, დღეს სამართლიანობის აღდგენაზე საუბრობენ ისინი, რომლებმაც შექმნეს, დააკანონეს ჩვენთან შერჩევითი სამართალი. სამართლიანობის აღდგენის თემა, სამწუხაროდ, გამარგინალდა. სააკაშვილის დროს სასამართლო სისტემა, სამართლიანობა დამარხეს. მოსამართლეები ამას საკუთარი ტყავის გადარჩენის, თანამდებობის შენარჩუნების მიზნით აკეთებდნენ. დღესაც პერიოდულად ცდილობენ, ქულები ჩაიწერონ ხალხის, ხელისუფლების თვალში. მომავალ ხელისუფლებაშიც გაგრძელდება სამართლიანობის აღდგენის თემა. ამასთან, მწვავედაც. ამიტომაც აუცილებელია, სასამართლო სისტემაში გზა გაეხსნათ პროფესიონალ პატიოსან მოსამართლეებს. მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე არანაკლებ მნიშვნელოვანია უკვე დღესვე სასამართლო სისტემის გაჯანსაღება.

ვფიქრობ, აუცილებელია, ამაღლდეს ყველა მოსამართლის თუ საერთოდ, სამართალდამცავ სფეროში ნებისმიერ თანამდებობაზე მომუშავე პირის პასუხისმგებლობა, რაც ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა იქნება.



გია ბურდული
551 71 27 07

# მიწიერ სამოთხეს დახარბებული მღვდლები და სამმაგი კოჰაბიტაცია

## რატომ არავინ ლაპარაკობს კვირიკაშვილისა და უსუფაშვილის კლანებზე, რომლებსაც ნახევარი კახეთი გაყოფილი აქვთ



**როგორ „გააკულაკეს“ სიღნაღის რაიონის სოფელ ილია წმინდას (ყოფილი ულიანოვკა) მცხოვრებნი შევარდნაძისა და სააკაშვილის ხელისუფლებების დროს, რაც საბოლოოდ დააკანონა „ქართულმა ოცნებამ“, გვესაუბრებიან მოძრაობა „ჩვენ“ და „სახალხო ტრიბუნების“ პრეზიდენტი მამისა ჯაფარაშვილი და ხსენებული სოფლის მცხოვრები დათო ყანდაშვილი.**

მამისა ჯაფარაშვილი: „კარგად ვიცით, რა მძიმე მდგომარეობაშიც არიან ოჯახების სარჩენად საზღვარგარეთ გადახვეწილი ქართველები, ბინადრობის უფლებას ვერ ღებულობენ, ხან რომელ მიტოვებულ შენობაში არიან შეჭრილ-შეფარებული, ხან რომელში, მუდმივად დეპორტაციის საფრთხის წინაშე დგანან, მაგრამ მაინც იქ ყოფნა ურჩევნიათ, რადგან ლუკმა-პურის ფულს შოულობენ. გვიხარია, საქართველო უსაფრთხო ქვეყნად აღიარა ევროპამო, რომელ უსაფრთხოებაზე ვლაპარაკობთ, როცა უამრავი ქართველი, უკიდურესმა სიღატაკემ აიძულა თავისი ქვეყნიდან წასულიყო. ამის პირველი მიზეზი ის არის, რომ სოფელში გლეხი უმიწოდ, ფაქტობრივად უფუნქციოდ დატოვეს. მნიშვნელობა არ აქვს რომელი მთავრობა იქნება, როცა ადამიანს საკუთარ ქვეყანაში სამუშაო ადგილი არ გაქვს. წარმოება, ფაბრიკა-ქარხნები, რაც გვქონდა გაყიდეს და გაანადგურეს, ერთადერთი რესურსი, რაც დაგვრჩა მიწაა, რომ ადამიანმა თავი დაისაქმოს და იმასაც გართმევენ. ერის მოღალატეობაში ლომის წილი შევარდნაძის ხელისუფლებას მიუძღვის, იმ პერიოდიდან დაიწყო ქვეყნის გაჩანაგება, როცა ხალხის ქონების მიტაცებას პრივატიზაცია დაარქვეს და ვითომდა მიწის რეფორმაც ჩაატარეს. იმ კონკრეტულ შემთხვევაზე, რაზეც გვინდა ვისაუბროთ, მიწის რეფორმასთან კავშირში არ არის. ეს 1700 ჰექტარი მიწა უბრალოდ გაყიდულია, შევარდნაძისა და სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ხელისუფლების წარმომადგენლების ხელშეწყობით, ფაქტობრივად, არაბეთი შექმნეს ამ მიწაზე. ამ მიწის გარდა გაყიდულია 600 ჰა ფართობის ელდარის მინდვრები. სანამ უცხოტომელამდე მივიდოდა ეს მიწა, ჯერ ადგილობრივმა ჩინოსნებმა დაიწყეს მისი მიტაცება. ამ 1700 ჰა მიწაზე აქტიური ალებმიცემობა 2010 წლის იანვრიდან დაიწყო, ერთ წელიწადში რამდენჯერმე შეიცვალა მფლობელ-მმართველი, სანამ არაბი „ინვესტორი“ დაეპატრონებოდა“.

**დათო ყანდაშვილი:** „კომუნისტების მმართველობის პერიოდში მაგ ტერიტორიის მომიჯნავედ იყო საცდელი სასელექციო მეურნეობა, ხორბლის ახალი ჯიშები გამოყავდათ, მიწის გარდა საწყობები და შენობა-ნაგებობებიც ჰქონდათ. სასელექციო ცენტრი სოფელ მაღაროს ეკუთვნოდა, 300 ჰა მაღაროში იყო, 600 ჰა კი ელდარში. ამ მეურნეობის გვერდით არსებული მიწები 1650 ჰა სოფელ ულიანოვკის მეურნეობას ეკუთვნოდა. ამ სოფელში ძირითადად რუსები ცხოვრობდნენ, 90-იანი წლების დასაწყისში, ცნობილი







არეულობის დროს, რუსებმა ყველაფერი მიატოვეს და გაიქცნენ. ფაქტობრივად, აქ არავითარი პრივატიზაცია არ მომხდარა. ულიანოვკას მოგვიანებით შეეცვალა სახელი, ილია წმინდა პატრიარქის საპატივცემულოდ დაერქვა, გაგვიხარდა, გვეგონა პატრიარქი დაგვეხმარებოდა, რომ ვიფიქრეთ გვეშველაო, ზუსტად მაშინ დაგვაქციეს. შევარდნაძე რომ ჩამოიყვანეს საქართველოში და გააპირველკაცეს, მას მერე დაიწყეს ჩვენი სოფლის მიწების ხელში ჩასაგდებად „მუშაობა“, 1993 თუ მომდევნო წელს, ეს მაღაროსა და ილია წმინდას მიწები გააერთიანეს, ანუ ჩვენ ჩამოგვართვეს ხსენებული მიწები და მთლიან ფართობ საცდელი მეურნეობა დაარქვეს. მოგეხსენებათ, მხედრიონობის დრო იყო, სოფლელებს ავტომატებით გვიხვდებოდნენ კუნთიანი ბიჭები და გვემუქრებოდნენ, მიწაზე ხმა არ ამოიღოთ, თორემ ყველას გაგანადგურებთო. მე იმ პერიოდიდანვე ვდაობდი, უმიწოდ რომ დატოვეს ხალხი. იმ მხედრიონელების გვარები აღარ მახსოვს, ყვარლელები იყვნენ, მაგათ მოგვიგზავნეს ის ავტომატიანები, ხმა არ ამოიღოთ, თორემ ოჯახებსაც დაგიწიოკებთ, ამოგწყვეტავთო. რაღა უნდა გვექნა, ამათ რას მოვერეოდით, მერე რომ მიწყნარდა ეს არეულობა და მხედრიონელებიც ალაგმეს, 1997 წლიდან ხელახლა დავიწყეთ მიწაზე დავა. თითქმის ყოველ წელს შეგვქონდა საჩივარი, ამასობაში ნაციონალები მოვიდნენ ხელისუფლებაში, მაგრამ სამართალი ვერსად ვნახეთ.

სააკაშვილი რომ მოვიდა ხელისუფლებაში, ხსენებული მიწები ჯუმბერ პატიაშვილს გადასცეს, უფრო ზუსტად, წეროვანში მდებარე აგროკონცერნ „თავთავს“, რომლის ხელმძღვანელიც ჯუმბერ პატიაშვილი იყო, ილია წმინდას მიწებიც მაგ ორგანიზაციას მისცეს. ჯუმბერ პატიაშვილს თბილისში რომ შევხვდით, მერე თვითონ ჩამოვიდა ილია წმინდაში და გვითხრა, ეს საცდელი მეურნეობაა და ვერავინ შეეხებითო. როგორ ვერ შეეხნენ, როცა 2010 წელს ვიღაც უცხოტომელს მიყიდეს მთლიანად. მანამდე როგორც სასელექციო ცენტრი, ისე მუშაობდა, დირქტორი ბონდო ბოლღაშვილი იყო, საწყობის გამგედ, სხვა პერსონალად და მუშებად, ადგილობრივები ყავდათ დასაქმებული. ნაციონალები რომ მოვიდნენ ხელისუფლებაში თელავში ჩავედი, გუბერნიაში შევიტანე საჩივარი, რომ ჩვენი სოფლის მიწები ცენტრს ჰქონდა მითვისებული, იმ პერიოდში გუბერნატორი პეტრე ცისკარიშვილი იყო. დამიბარა ცისკარიშვილმა, კაბინეტში რომ შევედი, მითხრა, ეს რა კარგი რაღაც მითხარი, აქამდე არ ვიცოდიო. ცისკარიშვილმა, იმის მაგივრად, რომ ხალხისთვის მიწები დაებრუნებინა, დაიბარა დირექტორი ბოლღაშვილი და წილში ჩაუჯდა. არ ვიცი წელიწადში „სტავკა“ 100.000 იყო თუ 150.000, რაც ბოლღაშვილს გუბერნატორისთვის უნდა მიეტანა, მაგრამ ცისკარიშვილი წილში რომ ჩაუჯდა, ეს ფაქტი იყო. სოფლის ყრილობა რომ მოვაწყვეთ, რისი ინიციატორიც მე ვიყავი, მთელი სოფელი გამოვიდა, ცისკარიშვილიც მობრძანდა, მან მანქანაში ჩამისვა, წამომიყვანა და ჩალაუბანში ჩამომაგდო, გზაში დამემუქრა, მიწებზე თუ კიდევ ხმას ამოიღებ, დაგიჭერო. მთელი სოფელი ჩამოვედით სააკაშვილთან, მაშინ გასცეს ბრძანება, რომ 0,4 ჰა ფართობები მიეცითო. ეგ მიწებიც და რამდენიმე რიგი ვაზიც 2005 წელს მოგვცეს, თორემ მიწის რეფორმის დროს ერთი გოჯი არ მოუციათ. მაინც ვჩიოდით, რადგან მრავალსულიანი კომლისთვის 4200 კვ.მ. ფართობი არაფერია, მაგრამ ისე იყო გათავხედებული მეურნეობის დირექტორი ბოლღაშვილი, იქ რკინიგზა გადის, რომლის ერთ მხარეს 270 ჰა ხალხს გაგვინაწილეს, რკინიგზის იქით 1000 ჰა-ზე მეტი დარჩა, ბოლღაშვილი გვეუბნებოდა, აქეთ ვერ გადმოხვალთო, პოლიციას გვახვედრებდა, ცისკარიშვილიც ხომ დამუქრებული იყო, დაგიჭერო. ბოლოს ისიც შემომითვალა, ჩამოგიყვან და ლომზე დაგკიდებ იცოდეო. ჯერ კი ვერ მივხვდი, ეს რას ნიშნავდა ციხეში არასდროს ვმჯდარვარ, რომ მცოდნოდა წამების ფორმა იყო. სიმართლე გითხრათ, ბოლოს შემეშინდა ისე მემუქრებოდა გუბერნატორი ცისკარიშვილი. თავის დროზე ჩვენს სოფელში 250 კომლი ცხოვრობდა, ახლა უამრავი სახლია დაკეტილი, სოფელში ახალგაზრდას ველარ ნახავ.

**მამისა ჯაფარაშვილი:** წინა ხელისუფლებების დროს „მოდაში“ იყო და ახლაც ასეა, ჩინოვნიკები რაიმე ქონებას რომ დაისაკუთრებენ, მერე მოძებნიან უცხოელ პარტნიორს და მასზე აფორმებენ, რადგან საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქის უფლებები უფრო დაცულია, ვიდრე ჩვენი ხალხის. ამას ისე ნათლავენ, ვითომ უცხოელმა ჩადო ინვესტიცია. ამ შემთხვევაშიც მოიძებნა ასეთი ე.წ. ინვესტორი, ეგვიპტური შპს „ჰაბიბ. კომი“ სამედ ჰაბიბით. ორი წლის წინ აქციის ჩასატარებლად რომ ვიყავით ჩასული ილიაწმინდაში, მოირბინა სოფელ მაღაროს გამგებელმა თენგიზ შაიშმელაშვილმა (ექს-პრემიერ-მინისტრ კვირიკაშვილის ნათესავი), რომელმაც პირდაპირ საუბარში თქვა, ეს ეგვიპტელი ერთ-ერთი მოწილეა, დანარჩენი სამი ქართველებივართო. ამ არაბს ლამის ჯარით იცავენ, ისე არიან გამაგრებული, ყავთ დარაჯები, რომლებიც შემოვლას ახდენენ მთელ ტერიტორიაზე, პლიუს უზარმაზარი ნაგაზები ყავთ არაბებს. ვკითხე იმ არაბ „ინვესტორს“, როგორ ჩაიგდო ხელში ამხელა მიწა, თარჯიმანი დაგველაპარაკა, რომელმაც საუბარი არ ისურვა და მოკლედ მოგვიჭრა, ეს მიწა მარტო ამ არაბის არ არისო. ასე რომ, ქართველი ჩინოვნიკები დღესაც წილში არიან და უზარმაზარი მუქთა შემოსავალი აქვთ ამ მიწიდან.

**— ქალბატონო მამისა, ამ საქმეში სამღვდელოების არც თუ სახარბიელო როლი ახსენეთ.**

— ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი უბედურება ისაა, მიწიერ სამოთხეს დახარბებული მღვდლები რომ გვყავს. სააგენტოდან პასუხი გასული წლის სექტემბერში მივიღე, სადაც მითითებულია რომ კონკრეტული მიწის ფართობები ეკონომიკის სამინისტრომ, შპს „აგროვესტს“ 2010 წლის 20 იანვარს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად პირდაპირ მიყიდა გარკვეული ვალდებულებებით. მყიდველის ძირითად ვალდებულებათაგანი იყო, რომ მას 2010 წლის 31 მარტს 300.000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი უნდა გადაერიცხა სოფელ ბოდბის წმინდა ნინოს ტაძრის მშენებლობის ფონდში ნეკრესისა და ჰერეთიც ეპარქიაში. ერთი რამ მაინტერესებს, მღვდლებისთვის მათი სამყოფელის კაფელ-მეტლახში ჩასმა, კონდიცირება და გათბობის პირობების შექმნა, ანუ მათი ფუფუნება-კომფორტი ღირდა სოფლისთვის 1700 ჰა მიწის წართმევად, რაც არსებობის წყაროს წართმევის ტოლფასია? ზუსტად ამიტომ ვახსენე სამმაგი კოჰაბიტაცია, „ქართული ოცნების“ დაუმთავრებელი კოჰაბიტაცია კოლექტიურ ნაცებთან, რასაც ემატება ჩვენი საპატრიარქოს მღვდლების შესანიშნავი კოჰაბიტაცია ამ ყვე-



ლაფერთან. სააგენტოს პასუხში ყველზე მეტად ამ ინფორმაციამ დამთრგუნა. ჩვენ აუცილებლად გამოვიკვლევთ ამ ყველაფერს, დავალაგებთ ნაწილებად ყველა დოკუმენტაციითა და სასამართლო სასჯელით და ისე გამოვაქვეყნებთ. ამ ეტაპზე თავს შევიკავებ სამღვდელოების იმ წარმომადგენლების ვინაობის გასაჯაროებისგან, ვინც ფრიად აქტიურობდა 300.000 დოლარის მისაღებად. აუდიტის დასკვნებიც აქვთ აღებული ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან, სულიერ მამებს პირობები რომ შეუსრულეს. სამღვდელოების წარმომადგენლებმა მთლიანად ეკლესიას მოახმარეს თუ არა ეს თანხა, ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რესტავრაციას რომ არქმევენ, რაც სინამდვილეში მაგათი კეთილმოწყობა და მიწიერი სამოთხის შექმნაა, ნამდვილად არ ღირდა მთელი სოფლის აყრის ფასად.

მყიდველს ხელშეკრულების დადებიდან ხუთი წლის განმავლობაში ამ მიწის ნაკვეთზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პროდუქტი უნდა ეწარმოებინა და 30 მუშა უნდა დაესაქმებინა, მოკლედ 2015 წლისთვის შესრულებული უნდა ყოფილიყო ყველა ვალდებულება, შესრულება კი ასე ვთქვათ, დადასტურებულია დოკუმენტაციით, მაგრამ მე სხვა პრეტენზია მაქვს „ქართულ ოცნებასთან“, რომლის ხელისუფლებაში მოსასვლელადაც ყველაფერი გავაკეთეთ. 2012 წლის შემოდგომაზე შეიცვალა ხელისუფლება და მას მერე ვერცერთმა მთავრობამ ვერ მოახერხა, რომ ეს მიწები ვიღაც არაბის საკუთრებაში არ დაეტოვებინათ. არადა ამის სამართლებრივი და იურიდიული საშუალება ნამდვილად ჰქონდათ, რადგან უამრავი დარღვევებია ამ მიწის გასხვისების საქმეში.

გიორგი კვირიკაშვილი მაგ პერიოდში ეკონომიკის მინისტრი და ვიცე-პრემიერი გახლდათ. თუ იმ ეგვიპტელი „ინვესტორის“ მეწილე კვირიკაშვილის ნათესავი შაიშმელაშვილია, ეს ჩვენი „გაწონაწორებული“ ნაპრემიერალი შინაურს ხო მარ მოსჭრიდა კუდს?

**დათო ჟანდაშვილი**: სულ ღარიბაშვილი-თამაზაშვილის კლანზე ლაპარაკობდა პრესა-ტელევიზია, მაგრამ კვირიკაშვილისა და დავით უსუფაშვილის კლანებზე სიტყვას არავინ ამბობდა. ყველა გეტყვით, რომ მაგათ აქვთ დაყოფილი მთელი კახეთი, ასი ათასობით ჰექტრებს ფლობენ. სიღნაღის რაიონი გამონაკლისი არ არ არის, მთელ კახეთშია ეს უბედურება. სოფელ კაჭრეთში (გურჯაანის რაიონი) ვიყავით ჩასული მოსახლეობასთან შესახვედრად, აქაც კომლზე მხოლოდ ნახევარი ჰექტარი მიწა დაარიგეს, ასი ათასობით ჰექტარი მიწა კი, ერთი ადამიანის საკუთრებაა.

რაც შეეხება სამღვდელოებას, იმის მაგივრად რომ წინ აღდგომოდა ხალხის უმიწოდ დატოვებას, პირიქით სარგებელს დაუწყო ძებნა, ოღონდ ფული გადაგვიხადეთ და მერე რა მოხდა, გაყიდეთო. აი, ეს არის ყველაზე სამარცხვინო.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# ამჟამად, ჩვენი სახლი ბანკის სახელზეა გადაფორმებული და კაცმა არ იცის, ქუჩაში როდის გაგვყრიან

**ხატიაშვილების ოჯახი, რომელიც რამდენიმე წელია სამართალს უშედეგოდ ეძებს, შეიძლება ღია ცის ქვეშ დარჩეს. საცხოვრებელი სახლი და ბიზნესი, რომელიც ოჯახის ერთადერთ შემოსავალს წარმოადგენდა, სახელმწიფო მოხელეთა თავნებობას და გაუმაძღრობას შეეწირა. ოჯახს „საქართველოს ბანკი“ გამოსახლებით ემუქრება და ნებისმიერ დღეს შეიძლება აღსრულების პროცედურა დაიწყოს. ოჯახის უფროსი, 79 წლის ვიქტორ ხატიაშვილი პირველი ჯგუფის ინვალიდია, მისი მეუღლე, 78 წლის ნარი გეგეშიძე კი პენსიონერი. ხატიაშვილების ერთი ქალიშვილი საზღვარგარეთ, სამუშაოს საძიებლად არის წასული, მეორე დროებით უმუშევარი მარტოხელა დედაა და 15 წლის შვილს ზრდის. როდის დაიწყო ხატიაშვილების პრობლემა და რატომ ვერ ახერხებენ სამართლის პოვნას ვიქტორ ხატიაშვილმა გვიამბო:**



— შრომა ყოველთვის მიყვარდა და მინდოდა, რომ რომ თბილისთან ახლოს მიწის ნაკვეთი მქონოდა, სადაც შევძლებდი საქმიანი ეზო მომეწყო თავისი სადურგლო და ბლოკის საჭრელი საამქროებით. ამიტომ 1978 წელს მივმართე გარდაბნის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს და ვთხოვე სადგურ ვაზიანთან საქმიანი ეზოს მოსაწყობად მიწის ნაკვეთი გამოეყო, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდებოდა. 1979 წელს მიწის ფართობი გამოგვიყვეს და ჩანაფიქრის განხორციელება დავიწყე. ადგილი ქვა-ღორღიანი და ეკალ-ბარდით მოფენილი იყო, მაგრამ დიდი სიძნელეების მიუხედავად, გავასუფთავე, წყალი და ელექტროენერგია შევიყვანე, ორი ელექტროკარადა დავამონტაჟე, ბლოკის საამქრო მოვაწყვე თავისი საშრობით, ავაშენე შენობა-ნაგებობები, ფიცრების საჭრელი ელექტროქარხანა და სამი ცალი 85 ტონიანი ბუნკერი დავამონტაჟე. ბოლოს ეზო ბლოკის გალავნით შემოვღობე და საქმეს შევუდექი. ხე-ტყე რუსეთიდან შემოდიოდა და საქმიანი ეზო სრული დატვირთვით მუშაობდა. გადასახადებს კეთილსინდისიერად ვიხდიდი და ქვეყნის წინაშე ვალს პირნათლად ვიხდიდი. სოფელ პატარძეულში პიონერთა ბანაკი ავაშენე, რისთვისაც ედუარდ შევარდნაძემ მედალი გადმომცა. 1996 წელს ჩამოვაყალიბე შპს „ყადორი 96“. მალე გარდაბნის გამგეობამ ჩემი საქმიანი ეზო საპრივატიზაციო სიაში შეიტანა და 1999 წლის ივნისში მიწის ფართობი და შენობა-ნაგებობები ჩემს სახელზე დარეგისტრირდა. 2006 წელს დაგვავალეს მიწის გადასახადის გადახდა, რომელსაც ყოველთვიურად ვიხდიდი, თუმცა მანამდე, 2004 წელს დამემართა ინსულტი შაქრიანი დიაბეტის ფონზე, მაგრამ საქმიანი ეზო მუშაობას განაგრძობდა, სანამ თაღლითების ჯგუფმა ჩემთვის მისი წართმევა არ გადაწყვიტა.

**— დაგვიკონკრეტეთ, ვის გულისხმობთ?**

— თაღლითთა ჯგუფში რამდენიმე ადამიანი შედიოდა: შოთა დიდებაშვილი, გარდაბნის რაიონის ქონების მართვის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ამირან ტოტიკაშვილი, მარტყოფში მცხოვრები ვასილ თურქიშვილი და ბესიკ კახაბრიშვილი. ამ ადამიანებმა წამართვეს ჩემი ხელით შექმნილი საქმიანი ეზო იმ მოტივით, თითქოს ადგილს, რომელსაც 2 რკინის კარი ჰქონდა შებმული, პატრონი არ ჰყავდა. საბოლოოდ, ჩემზე რეგისტრირებული ქონება გადასცეს ვასილ თურქიშვილს, ჩვენი საკუთრების მოწმობის დედანი კი გარდაბნის გამგეობამ გააქრო. მოგვიანებით, თურქიშვილმა ჩვენი მიწის ნაკვეთი თავის მეგობარს მიყიდა. დაშალეს და გაანადგურეს მთელი საამქრო, 85 ტონიანი ბუნკერები გაყიდეს, სადურგლო იარაღები და წყლის რეზერვუარები ჯართში ჩააბარეს, შენობა-ნაგებობები დაშალეს და გაყიდეს. შემდეგ ამ თურქიშვილმა მიწა კიდევ სხვას მიჰყიდა და ახლა იქ „ქიმ ინვესტი“ მდებარეობს.

**— თქვენი საკუთრების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე სასამართლოს რატომ არ მიმართეთ?**

— ამ ხალხმა ჩემი ავადმყოფობით ისარგებლა და მართლაც, ავადმყოფობის გამო ვერ შევძელი სათანადო ყურადღების მიქცევა და ასე ერთიანად გავუბედურდით. როგორც ვიცი, ჩემი მიწის ნაკვეთი „თიბისი“ ბანკში ჩადეს და ფული გამოიტანეს. 100 000 ლარზე მეტის ქონება იყო.. მოგვიანებით, ყველაფერი დავწერეთ და შევიტანე რუსთავის პროკურატურაში, მაგრამ პროკურატურამ საქმე ვაზიანის პოლიციას გადასცა, მერე ისევ რუსთავის პროკურატურაში დააბრუნეს. დღემდე ვრეკავთ, მაგრამ არანაირ ყურადღებას არ გვაქცევენ და ვართ ასეთ მძიმე მდგომარეობაში.

**ნარი გეგეშიძე (ვიქტორ ხატიაშვილის მეუღლე)**: – წელიწადზე მეტია, რაც ქუჩაში დარჩენის მოლოდინით ვცხოვრობთ. ჩემი მეუღლე პირველი ჯგუფის ინვალიდია. ინსულტის შემდეგ პარალიზებულს დიაბეტური განგრენის გამო, აპრილში ფეხი მოკვეთეს და თავადაც ხედავთ, რომ ლოგინიდან ადგომა არ შეუძლია. ასეთი ავადმყოფი გამუდმებულ მოვლას საჭიროებს, ამიტომ შვილი მუშაობას ვერ ახერხებს და ჩვენ გვივლის. ვაზიანის მიწის ნაკვეთის გარდა, უსინდისო ჩინოვნიკების წყალობით, მეორე მიწის ნაკვეთიც დავკარგეთ. 1993 წლიდან 2011 წლამდე, გლდანში, სახლთან ახლოს საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე ვფლობდით მიწის ნაკვეთს, სადაც კერძო ავტოსადგომი გვქონდა გახსნილი. 2011 წელს მერიის „ქონების მართვის სააგენტომ“ საიჯარო ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეგვიწყვიტა და სააგენტოს უფროსმა დავით ჭედიამ მიწის ნაკვეთი საკუთარ მეგობარზე გაასხვისა. მოგვიანებით კი ზემოთ აღნიშნული ტერიტორია არაბმა ინვესტორებმა შეიძინეს. საქმეში „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა“ და ჟურნალისტების ჩართვის მიუხედავად, პროკურატურამ საქმეზე გამოძიება არ დაიწყო. დღეს მიწის ნაკვეთი, რომელსაც ჩემი ოჯახი 18 წლის განმავლობაში უვლიდა, მიშელ სალიბას, სეიფ ჰაჩიმის, კაზან ფარიდის, სეიფ ჟანის და სიმონ ტაბჩარანის მფლობელობაშია, მე და ჩემს ოჯახს კი გამოსახლება გვემუქრება, რადგან ამ საქმის გამო, საცხოვრებელი ბინაც დავკარგეთ..

**— მიწის ნაკვეთის დაკარგვასთან საცხოვრებელი ბინა რა კავშირშია?**

—საქმე ისაა, რომ 2011 წელს ზემოთ აღნიშნული მიწის ნაკვეთის შესყიდვისა და ბიზნესის გაფართოვების მიზნით, ბინა კერძო იპოთეკით დავტვირთეთ, მაგრამ შესყიდვის ნაცვლად, ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ხელშეკრულება უკანონოდ შეგვიწყვიტა. ბუნებრივია, ამის შემდეგ, იპოთეკარებისთვის პროცენტების გადახდა ვეღარ შევძელით. 2017 წლის 27 ივნისს, როცა იპოთეკარები გამოსასახლებლად მოგვადგნენ, იძულებული გავხდი ნათესავის დახმარებით, ფული „საქართველოს ბანკიდან“ გამომეტანა და ახლა უკვე ბანკი გვედავება.. წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩაგვაგდო უსინდისო ჩინოვნიკების მოქმედებამ. ამჟამად, ჩვენი სახლი „საქართველოს ბანკის“ სახელზეა გადაფორმებული და კაცმა არ იცის, ქუჩაში როდის გაგვყრიან.

სახლიც და მიწის ნაკვეთებიც სააკაშვილის დროს დავკარგე და ახლა უგულავა და აბესაძე ისე ლამაზად ლაპარაკობენ, თითქოს ამდენი ოჯახი მე გავაუბედურე, მაგრამ საწყენი ისაა, რომ წინა ხელისუფლებისგან დაზარალებულებს, არც ამ ხელისუფლებამ მოგვაქცია ყურადღება. ჩვენი საქმე ჯერ კბილაშვილთან იყო, მერე შოთაძესთან, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა. საიას დასკვნის მიუხედავად, სისხლის სამართლის დანაშაულია და გამოძიება დაიწყეთო, არაფერი გაკეთდა. პროკურატურის გამომძიებელმა სუხიშვილმა პირდაპირ მითხრა, მართლები ხართ, მაგრამ უნდა იცოდეთ, ვის ეჭიდავებითო. არადა, ჩვენ არავის ვეჭიდავებით. ჩვენ წაგვართვეს ყველაფერი, რასაც მთელი ცხოვრება ვქმნიდით. 40 წელი საბავშვო ბაღის გამგე ვიყავი, მომავალ თაობას ვზრდიდი, მთელი ცხოვრება ვშრომობდით და დღეს პირველი ჯგუფის, ფეხმოკვეთილ ინვალიდთან ერთად ქუჩაში ვრჩებით... როგორც ჭიანჭველას, ისე გვსრისავენ, რატომ გვხოცავენ, რისი გულისთვის?

**რედაქციისგან: თუ წერილში მოხსენიებულ რომელიმე პიროვნებას ხატიაშვილების საქმესთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთების სურვილი გაუჩნდა, ამის საშუალებას სიამოვნებით მივცემთ.**

**ნელი თორდია**
571 35 36 88

# სპკ „კათარზისის“ 2018 წლის საქმიანობის პროგრამული ანგარიში

### ყოველდღიური საქმიანობა

„კათარზისი“, ეს არის სოციალური დახმარების კომპლექსური ცენტრი, სადაც თავმოყრილია ის გადაუდებელი სოციალური დახმარებები, რომლებიც დღეს აქტუალურია სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის.

დღეს აქ ფუნქციონირებს: უფასო სასადილო, სილამაზის სალონი, პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტი, აფთიაქი, მეორადი ტანსაცმლით დახმარების სამსახური, ტანსაცმლის შეკეთების სამსახური, ინტერნეტ კაფე, სარეაბილიტაციო-სავარჯიშო დარბაზი, კაფე, ბიბლიოთეკა, უბინაოდ დარჩენილ ხანდაზმულთა თავშესაფარი, სამლოცველო, კინოდარბაზი, იურიდიული სამსახური, ხანდაზმულთა თეატრი. „კათარზისის“ შესახებ ფოტო და ვიდეო მასალა შეგიძლიათ იხილოთ მის ვებგვერდზე, მისამართზე: **Catharsis.ge**

### სამადლო სასადილო

„კათარზისის“ უფასო სასადილო ყოველდღიურად 310 ადამიანს ემსახურება. ის 1990 წლიდან ფუნქციონირებს და ხანდაზმულთათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურია. ჩვენ ბენეფიციარებს ვთავაზობთ ნოყიერ და კალორიულ სადილებს. კვების პროცესი მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში, ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით, მიუხედავად რელიგიური თუ საერო დღესასწაულებისა. სპონსორის შემოწირულობით და ჩვენი ორგანიზაციის თანამონაწილეობით ერთი დღის სადილის თანხა 385 ლარს შეადგენს. 2018 წლის განმავლობაში უფასო სასადილომ გასწია 100.000-მდე მომსახურება.

### სარეაბილიტაციო-სავარჯიშო სამსახური

სავარჯიშო დარბაზი მოწოდებულია დაავადებების პრევენციისათვის, სარეაბილიტაციო კი – გადატანილი სნეულებების შემდგომ (ინფაქტი, ინსულტი, ხერხემლის პათოლოგიები და ა.შ.) აღდგენისათვის. ექიმი ურჩევს ხანდაზმულებს მათი ჯანმრთელობისათვის შესატყვის ვარჯიშებს და სამკურნალო მასაჟს. პროფესიონალი მეთოდისტ-მასაჟისტი ხელმძღვანელობს სავარჯიშო დარბაზში მიმდინარე პროცესებს. სათნოების ძმები ეხმარებიან მოხუცებს რეკომენდაციების სწორად განხორციელებაში. 2018 წლის განმავლობაში ხანდაზმულებს ყოველდღიური მომსახურება გაეწია 3057-ჯერ, ხოლო სამასაჟო მომსახურებამ – 600-ზე მეტი შეადგინა.

### იურიდიული სამსახური

მუშაობს კვალიფიციური იურისტი, რომელიც კვირაში 3 დღე ემსახურება კათარზისის ბენეფიციარებს. მისი მოვალეობა ძირითადად საკონსულტაციო საქმიანობით შემოიფარგლება. ამასთან, ასწავლის მათ განცხადების შესაგებელის, საჩივრის და სხვათა სწორად დაწერას, ურჩევს რა დოკუმენტები სჭირდებათ ამა თუ იმ დავების, სასამართლო პროცესების დროს. 2018 წელის განმავლობაში იურიდიულმა სამსახურმა გაწია 1102 მომსახურება.

### კაფე

კაფე „ჯულის“ ყოველდღიურად საშუალოდ 200-მდე ხანდაზმული სტუმრობს. მათთვის კაფე თავშეყრისა და დასვენების ის ადგილია, სადაც შეუძლიათ ესაუბრონ ერთმანეთს ფინჯან ჩაიზე, ყავაზე, მიირთვან ტკბილეული (ორცხობილა, ნამცხვარი, კანფეტი). აღნიშნონ დაბადების დღეები, სხვა დღესასწაულები, მოუსმინონ მუსიკას, მიიღონ სტუმრები. კაფე მუშაობს ყოველდღე, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში. კაფეს 2018 წლის განმავლობაში გაწეული აქვს 53917 მომსახურება.

### რელაქსაციის ოთახი

ეს არის სპეცილურად მოწყობილი ოთახი უდიდესი, ულამაზესი გალიით, სადაც ამადინების (ფრინველის სახელწოდება) რაოდენობა დღეისთვის 80-ზე მეტია (თავდაპირველად 20 იყო). 2018 წელს განახლდა და დაემატა ბუდეები. ჩიტების ჟღურტული სიმშვიდისა და განტვირთვისათვის საუკეთესო გარემოს ქმნის.

### სილამაზის სალონი

სალონი ეხმარება ხანდაზმულებს სისუფთავის და წესრიგის შენარჩუნებაში. სპექტაკლების, კონკურსების, სხვა ღონისძიებების დროს მათ სადღესასწაულო ვარცხნილობებს და შესაბამის მაკიაჟს უკეთებენ. სალონში 2018 წელს აღრიცხულია 800-ზე მეტი მომსახურება.

### ბიბლიოთეკა

„კათარზისის“ ბიბლიოთეკაში წიგნების მდიდარი ფონდია. არის წიგნები ქართულ, რუსულ, ინგლისურ და სხვა ენებზე, აგრეთვე, ადგილობრივი პრესა. აქვე მუშაობენ წრეები ინტერესების მიხედვით: ხანდაზმულთა მიერ გამოიცა გაზეთ „აისიდან დაისამდე“ 4 ნომერი; ფუნქციონირებს საზოგადოებრივ – ლიტერატურული სალონი„ საპოვნელა,“ რომლის ფარგლებშიც ხდება შეხვედრები მწერლებთან, პოეტებთან, საზოგადო მოღვაწეებთან; ბოლო ერთ წელიწადში 14 ასეთი ღონისძიება გაიმართა. აგრეთვე, ეწყობა ბენეფიციართა შემოქმედებითი საღამოები, მათი ავტორობით გამოცემული წიგნების პრეზენტაცია-განხილვები. 2018 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკამ 5767 მომსახურება გაწია

### გარდერობი

გარდერობში ბენეფიციარებს და ორგანიზაციის სტუმრებს მთელი დღის განმავლობაში შეუძლიათ შეინახონ ტანსაცმელი, ჩანთები და ნებისმიერი ნივთი, რომელიც მათ ხელს შეუშლის შენობაში გადაადგილებაში. გარდერობში მორიგეობს სათნოების ძმა (ალტერნატიული სამხედრო მოსამსახურე), რომელიც მუდმივად იმყოფება ამ სივრცეში და პასუხისმგებელია ნივთების უსაფრთხოებაზე. 2018 წლის განმავლობაში გაწეულია 8068 მომსახურება.

### ექიმი

საექიმო კაბინეტი და უფასო აფთიაქი ემსახურება ყველა ბენეფიციარს, ვინც სარგებლობს „კათარზისის“ მომსახურებით, აგრეთვე, სოციალურად დაუცველ სხვა მოქალაქეებს. აქ ხორციელდება პირველადი სამედიცინო მომსახურების გაწევა. რთული შემთხვევების დროს ექიმი იძახებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადას და ხდება პაციენტის ჰოსპიტალიზაცია. აგრეთვე, პერიოდულად ხორციელდება ხანდაზმულთა უფასო გამოკვლევები სამედიცინო დაწესებულებებში ინდივიდუალური მიმართვების გზით. 2018 წლის განმავლობაში სამედიცინო სამსახურმა 5039 მომსახურება გასწია.

### თავშესაფარი

ფუნქციონირებს იმ ხანდაზმული ქალბატონებისათვის, ვისაც ბინის პრობლემა აქვს (14 ადგილი). ხანდაზმულები სარგებლობენ კომპლექსის ყველა სერვისით, მათ სამჯერადი კვება და ყოველდღიური საექიმო მომსახურება აქვთ, უტარდებათ სიმღერისა და ცეკვის, არტ.თერაპიის გაკვეთილები, პერიოდულად დადიან ექსკურსიებზე. ბებიებს ხშირად სტუმრობენ სხვადასხვა ორგანიზაციებისა თუ სახელოვნებო კოლექტივები.

### კინოდარბაზი

ერთ-ერთი სასიამოვნო და საჭირო სამსახურია ხანდაზმულებისათვის. მოხუცების ნაწილს ელექტროენერგია არ მიეწოდება ან ტელევიზორი არა აქვს სახლში. კინოდარბაზში მათ შეუძლიათ თვალყური ადევნონ ყოველდღიურ პროცესებს, ნახონ მათთვის საინტერესო ტელეგადაცემები, აგრეთვე, დაესწრონ სპეციალურ სეანსებს, სადაც ფილმები და გასართობი პროგრამები მათი სურვილითაა შერჩეული. 2018 წელს მომსახურების რიცხვმა 4190 შეადგინა.

### ინტერნეტ-კაფე

ამ სამსახურს თავისი მუდმივი მომხმარებელი ჰყავს. აქ ბენეფიციარს შეუძლია შეისწავლოს კომპიუტერული უნარ-ჩვევები, ისარგებლოს ინტერნეტსივრცით, დაუკავშირდეს ნაცნობ ადამიანებს, გაერთოს თამაშებით. ინტერნეტკაფეს ხელმძღვანელობს სათნოების ძმა, რომელიც ასწავლის და პრაქტიკულად ეხმარება ხანდაზმულებს. 2018 წელს ამ სამსახურმა დაახლოებით 50-ზე მეტ ბენეფიციარს გაუხსნა ახალი შესაძლებლობების ფანჯარა.

### თეატრალური დარბაზი

„კათარზისის“ ხანდაზმულთა გუნდში, საესტრადო თუ სხვა ჯგუფებში უკვე შემდგარი თუ დაფარული ტალანტების გამოვლენა ხდება. 1993 წლის 23 ნოემბრიდან ფუნქციონირებს „ნოსტალგიის თეატრი“ – დრამატული თეატრალური დასი. აქ სისტემატიურად ეწყობა თეატრალური დასისა და საკონცერტო ჯგუფების როგორც შიდა, ისე გასვლითი ღონისძიებები. მთელი წლის განმავლობაში ხანდაზმულება მაყურებელს შესთავაზეს არაერთი ღონისძიება და უმასპინძლეს სხვადასხვა დაწესებულებების, სკოლების თუ კერძო პირების მიერ შემოთავაზებულ კონცერტებს.

### სამლოცველო

წმ. ნინოს სახელობის სამლოცველოში რეგულარულად აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისები, ნათლობისა და საპანაშვიდე რიტუალები, დიდ საეკლესიო დღესასწაულებზე ტარდება ლოცვა.

2018 წელს საქართველოს პატრიარქი ილია II და მეუფე შიო შეხვდნენ „კათარზისის“ ხელმძღვანელობას, კიდევ ერთხელ დალოცეს ჩვენი ორგანიზაცია და საჩუქრად გადმოსცეს „კათარზისს“ წიგნის – „ნათელი ქრისტესი“ მე-3 გამოცემა.

### ტანსაცმლის შეკეთების სამსახური

სამსახური ორიენტირებულია მარტივ ოპერაციებზე: ღილების დაკერება, ელვა შესაკრავის შეცვლა, სამოსის დაგრძელება-დამოკლება, დაზიანებული ადგილების შეკეთება. ეს სამსახური უფრო მეტად დაუძლურებულ ქალბატონებს ან იმ ხანდაზმულ მამაკაცებს სჭირდებათ, რომლებიც ქალურ მზრუნველობას მოკლებულნი არიან. 2018 წლის განმავლობაში 1000-მდე მომსახურებაა გაწეული.

### მეორადი ტანსაცმლით დახმარების სამსახური

ნებისმიერ ბენეფიციარს შეუძლია შეარჩიოს და მოირგოს მისთვის სასურველი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი ან ნივთი. შემომწირველები არიან როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. 2018 წლის განმავლობაში გაწეულია 1500-მდე მომსახურება.

### ჰიგიენური მომსახურება

სათნოების სახლში ვერ მოეწყობა აბანო, ამიტომ უკვე წლებია, იმ ხანდაზმულებისათვის, ვისაც საცხოვრებელი გარემო და პირობები შესაძლებლობას არ აძლევს დაიცვას ჰიგიენური ნორმები, ხელშეკრულება გაფორმებული გვაქვს ქალაქის ორ აბანოსთან („მეჯუდა“ და „ნარიყალა“), რომლებიც ემსახურებიან ჩვენს ხანდაზმულებს (ერთი მომსახურება – 3 ლ.). 2018 წლის განმავლობაში ბენეფიციარებს გაეწია 2545 მომსახურეობა (თანხით-7104 ლ.).

### არტ. თერაპია

ეს სოციალური სამსახური 2018 წლის ოქტომბრიდან ამოქმედდა. აქ მუშაობს არტ-თერაპიის რამოდენიმე მიმართულება: იზოთერაპია (ხატვა, ნახატის გაფერადება, ძერწვა), ცეკვის თერაპია, სიცილის თერაპია, კინოთერაპია, მუსიკათერაპია, ლიტერატურათერაპია, პოეზია – მეტყველების თერაპია, მოძრაობითი ხელოვნება ანუ ევრითმია. არსებობს შესაბამისი სამეცნიერო კვლევები, რომლებიც ადასტურებენ, რომ არტ-თერაპიის გეგმაზომიერი, სწორი და მიზანმიმართული დანერგვა ხანდაზმულთა ყოველდღიურობაში დადებით შედეგს იძლევა მათი ჯანმრთელობის, ფსიქოემოციური ფონის გაუმჯობესობაში.

### დასვენება-გართობის სივრცეები

ყოველწლიურად იზრდება „კათარზისის“ შენობის ჰოლების დატვირთვა. 2018 წლისათვის მაქსიმალურად დაიტვირთა სამივე სართულის ჰოლი და ჩამოყალიბდა ბენეფიციართა დასვენება – გართობის სივრცე. აქ განთავსებულია მაგიდები, რომლებიც მუდმივად დაკავებულია სამაგიდე თამაშების მოყვარულებით. განსაკუთრებით პოპულარულია: ლოტო, ნარდი, ჭადრაკი, დომინო, კარტი. იმართება შიდა ტურნირები. 2018 წელს ჩატარდა საგაზაფხულო და საშემოდგომო ტურნირები ჭადრაკსა და ნარდში, სადაც მონაწილეობა მიიღო 40-ზე მეტმა ხანდაზმულმა. გამარჯვებულებს და საპრიზო ადგილებზე გასულებს გადაეცათ ფულადი ჯილდოები (I – 100, II – 70, III – 50 ლ.) და გარდამავალი თასი.

## პროექტები

### მწოლიარეთა დახმარება

მწოლიარე ხანდაზმულებს თვეში ერთხელ ბინაზე მიეწოდება აუცილებელი, პირველადი საჭიროების მშრალი პროდუქტი. ეს ძირითადად ის ადამიანები არიან, რომლებიც წლების განმავლობაში სარგებლობდნენ დღის ცენტრის მომსახურებით და შემდეგში გადაადგილების უნარი შეეზღუდათ. ერთი ასეთი ნობათის თანხა დაახლოებით 100 ლარამდეა. 2018 წელს მწოლიარე ხანდაზმულებს 190-ჯერ გაეწია მომსახურება.

### „სადილი ყველას“

გრძელდება პროექტი „სადილი ყველას“. პროექტის მიზანია ყველა იმ ადამიანის დაპურება, ვინც გამოცხადებულ დღეს ჩვენს ორგანიზაციას ეწვევა: ხანდაზმულები, დევნილები, მრავალშვილიანები, ე.წ. ქუჩის ბავშვები, ყველა მსურველი. ღონისძიებამდე 5–6 დღით ადრე თბილისის ქუჩებში იკვრება 10 ორმხრივი საგზაო ტრანსპარანტი წარწერით „სადილი ყველას“ (სურვილისამებრ, ბანერს ებმება აქციის სპონსორის ლოგო), რაც სოციალურად დაუცველი თბილისელებისათვის უკვე კარგად არის ცნობილი, ხოლო ტელეეთერით, როგორც წესი, გადის სოციალური ვიდეორგოლი. 2018 წელს სხვადასხვა სპონსორი კომპანიების მიერ ჩატარდაგანხორციელდა 8 ასეთი ღონისძიება.

### „წლის ბებია-ბაბუა – 2018“

2018 წლის 5 იანვარს, ჩატარდა ხანდაზმულთა ტრადიციული საშობაო წარმოდგენა-კონკურსი წლის „ბებიასა“ და „ბაბუას“ წოდებების მოსაპოვებლად. ხანდაზმულები (საქართველოს ყველა რეგიონიდან), რომლებმაც გაიარეს შესარჩევი ტური, ერთმანეთს შეეჯიბრნენ ცეკვასა და სიმღერაში. ცნობილი სახეებით დაკომპლექტებულმა ჟიურიმ გამოავლინა გამარჯვებულები; წლის „ბებია-2018“ გახდა მზია ჩიხლაძე (82 წლის, სამტრედიიდან), ხოლო „ბაბუა-2018“ – კემალ მუკბანიანი (88 წლის, ლენტეხიდან) კონკურსში გამარჯვებულებს (500–500 ლარი) და ყველა მონაწილეს (100–100 ლარი თითოეულს) გადაეცათ ფულადი პრემიები და საჩუქრები. პროექტის გენერალური სპონსორია ს.ს. თელასი. გარდა ამისა, ნებისმიერ ორგანიზაციას შეუძლია ფულადი ან სხვა პრიზების დაწესება ნომინაციების მიხედვით ან საკუთარი სურვილების შესაბამისად.

### პირველად „კათარზისის“ ისტორიაში – 100 წლის იუბილე

არქიფო ნამგალაძე გახდა პირველი „კათარზისის“ წევრი ხანდაზმული 28 წლიანი ისტორიის მანძილზე, რომელსაც 100 წელი შეუსრულდა. 19 ივნისს გაიმართა მისი დაბადების დღისადმი მიძღვნილი სამახსოვრო საღამო. მოწვეულები იყვნენ ბ-ნი არქიფოს ოჯახის წევრები, სტუმრები, სპონსორი ორგანიზაციების წარმომადგენლები. ხანდაზმულთა თეატრალურმა დასმა და მომღერალთა გუნდმა საკონცერტო პროგრამით მიულოცა იუბილე უხუცესს. დღეგრძელმა ხანდაზმულმა მიიღო საჩუქრები, დიდი ტორტი სტუმრებისაგან და 400 ლარი ფულადი პრემია „კათარზისისაგან“.

### 1 ოქტომბერი – ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე

ეს დღე 1990 წელს გაეროს ასამბლეამ ხანდაზმულთა საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. საქართველოში ეს თარიღი მოკრძალებულად ან არ აღინიშნება. 2018 წლის 1 ოქტომბერს „კათარზისმა“ საზოგადოებას შესთავაზა ამ დღის აღნიშვნის ახალი ფორმა, რომელიც შესატყვისი იყო ამ ადამიანების ღვაწლის, ჩვენი ერის ტრადიციული დამოკიდებულებისა ხანდაზმულთა მიმართ და შეესაბამებოდა თანამედროვე გამოწვევებს. ღონისძიების დაწყებამდე 3 დღის განმავლობაში საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადიოდა ზანდაზმულთა მოწვევისა და მისალოცი შინაარსის ვიდეორგოლები; ამავე პერიოდის განმავლობაში ხანდაზმულთა თემატიკით დატვირთული იყო სოციალური ქსელები; წინა დღეს „კათარზისის“ სათნოების ძმები ქალაქის 7 ლოკაციაზე არიგებდნენ მისალოცებს და მოსაწვევებს ხანდაზმულთათვის. ამ დღეს საგანგებოდ მორთულ„ მუშთაიდის კულტურისა და დასვენების პარკში“ მოეწყო სახალხო სეირნობა, რომელიც გაჯერებული იყო სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების სასიმღერო, საცეკვაო, სპორტული და სანახაობრივი გამოსვლებით. ცნობილმა მომღერლებმა საკონცერტო პროგრამით, ხოლო მოძრაობის თეატრმა ხალისიანი ნომრებით მიულოცეს ეს დღე ხანდაზმულებს. ბაღის შესასვლელ სივრცეებში მოლბერტებზე განთავსებული იყო 60–70 წლების ფოტოები, რომელიც იქ მოსულ საზოგადოებას ახალგაზრდობას ახსენებდა. საღამო გაგრძელდა დისკოთეკით ხანდაზმულებისათვის, რომელშიც ბებია-ბაბუების გარდა მონაწილეობას იღებდნენ სამოდელო სააგენტოებისა და საცეკვაო ჯგუფების წარმომადგენლები, ღონისძიება დასრულდა – ულამაზესი ფოიერვერკით.

### მემორანდუმები

2018 წელს, ტრადიციულად „კათარზისის“ ბენეფიციარებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ს.ს. თელასისა და შპს GჭP-ს მემორანდუმები, რომლებიც შესაბამისად ზამთრის გათბობის პროგრამასა და მთელი წლის განმავლობაში წყლით უფასოდ მომსახურებას ითვალისწინებდა.

ეკონომიკური საქმიანობა

ეკონომიკური საქმიანობა, რომელსაც ასოციაცია „კათარზისი“ აწარმოებს, არის ფართების გაქირავება. დღეისთვის იჯარით გაცემული გვაქვს 147 კვმ ფართი, რომლიდანაც წლიურმა შემოსავალმა შეადგინა 70631,58 ლარი.

პ.ს. 2018 წლის საბუღალტრო დოკუმენტაცია: პროგრამული ანგარიში მიღებული შემოსავლების შესახებ და დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებული ფინანსური დოკუმენტები (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში) განთავსებულია „საერთო გაზეთში“ (№12, 03.04. 2019წ.).

**ასოციაციის პრეზიდენტი**
**ზაურ ალადაშვილი**

# მუხრან მაჭავარიანი – 90



## დუმილი რეკავს

დუმილი რეკავს,
დუმილი რეკავს
ჯვრით,
ალავერდით,
გელათით,
ტბეთით...
ხმა თუა ნეტავ,
ხმა თუა ნეტავ, —
ამ უხმო ხმაზე
რომაა მეტი!

დუმილი რეკავს,
დუმილი რეკავს
დუმილი რეკავს
თვით პეტრიწონით...
მკვდარიც კი თუა
ქართველი ნეტავ, —
ეს რეკვა მისთვის
როა ლიტონი!

დუმილი რეკავს,
დუმილი რეკავს
ზარზმით,
ოპიზით,
ოშკით,
ხახულით...
ხან ფერად შვინდი,
ხან ფერად ლეგა, —
რეკავს სამრეკლო —
ხმადაკარგული.
დუმილი რეკავს

## ანი და ჰოე

ფიქრებში იელვებს ტაძარი ხატულა;
დღედ დღევანდელი
უეცრივ წამერთმის:
ქართლად იჩქარიან, -
მეტყველნი ქართულად, -
შუამდინარეთით
მამანი ცამეტნი.

- ქართული საიდან?!
ნანგრევებს გავძახი, -
საიდან?! საიდან?! -
ნანგრევი რას მეტყვის!..
გახარებულია ხელმწიფის სასახლე:
ქართულით უბნობენ
მამანი ცამეტნი.
. . . . . . . . . .
მცხეთით დაწყებული, -
გასრულდა მცხეთაში:
სიახლე მძვინვარებს
უძველეს ბალავარზე....
- ანი და ჰოე ვართ
ქართლისა მე და შენ! -
გიორგი მეთორმეტეს
ეტყვის ფარნავაზი.

## არაგვთან ნათქვამი

ამ მთათა გამო,
ამ ტყეთა გამო,
ყველაფრის გამო,
ირგვლივ რაც არი;
ვინც აქ იშვა და...
ვინც აქ იზარდა, —
არ შეიძლება იყოს ლაჩარი!

## არაგვი!

ხედავ...
ხედავ და გინდა,
ხედავ და გინდა,
სულ რომ უყურო...
აღფრთოვანდება, —
ვინც უნდა იყოს
და...
რაც არ უნდა იყოს უგულო, —
კაცი,
რომელიც
შეხედავს
არაგვს.

## თქვა ოპიზარმა

ტანახოვანმა, დღეს მიწაში მწოლმა გულაღმა.
თქვა ოპიზარმა, ხოტივარმა, თუ ხახულარმა:
დაჯდები ქოხში, სასახლეში, თუ ხის გრილოში:
ღვინო შენ უნდა დალიო და არა ღვინომ — შენ!
. . . . . . . . . .
ძენი, ძისძენი მეფე გუბაზის, —
მერე რამდენი, მერე რამდენი! —
დახოცილები ქართულ სუფრაზე, —
დიღომში წვანან
სამარაბდენი.

შნიშნი, ბადიშნი ლაზი ფარტაზის, —
გალეშილები, არა ფხიზელნი.
ხშირ შემთხვევაში მსხდარნი პანტაზე. —
ვაკეში წვანან
საასპინძენი.

კმარა.
გვიანღა იქნება მერე! —
გვიახლოვდება. ვხედავ. წერტილი...
და საქართველოს უკვდავი მტერი —
სიცილით კვდება
ჯალალედინი.

## კახთ-მაჭავარი

საყდრით გამოდის პატარა კახის
კარის მოძღვარი კახთ-მაჭავარი,
რომელიც თურმე ყოფილა ნაღდი
კაცი და, მერე, კაცი რავარი! —
ჩემი არ იყოს, ქართველი ხალხი
ყოფილა თურმე მისთვის მთავარი.

## კრწანისი

ეს ადგილი კრწანისია! —
დაისთაგან ქართლისათა
რიგით ბოლო დაისია!

აქ ქართველნი ჩაიხოცნენ, —
მტკვარი გახლავთ ამის მოწმე.

ამ მიწაში წვანან ახლა
კაცნი ყველა გორისანი;
მხნედ ხმარობდა ზოგი ფარ-ხმალს,
ზოგი გახლდათ მოისარი.

წევს წყნეთელი კახის ფერხთით,
კარსნელს მიწაც კი არ შეხვდა!

არბოელი
უწევს გვერდით ქიტესა —
ხევსურს —
პირიქითელსა.

ბატონ მუხრან მაჭავარიანთან 30 წელზე მეტი ხნის მეგობრობა მაკავშირებდა.

მინდა გავიხსენო მისი 89 წლის აღსანიშნავი სუფრა მეგობართა „ვიწრო წრეში", რომელსაც 80-მდე ჩვენი საერთო მეგობარი ესწრებოდა. სუფრა არაგვის ხეობის დიდებული ბუნების წიაღში, რესტორან „თავადის სახლში" 2009 წლის 12 ივნისს გაიშალა.

იმ დღეს ბატონმა მუხრანმა, ჩემი სადღეგრძელოს თქმისას, ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაყენა და ის დღეც სამარადჟამოდ დამამახსოვრა — უკვე 89 წლის გავხდი. ამ ოთხმოცი წლიდან 60 წელია ქვეყანას ვაკვირდები და ამ სამოცი წლის მანძილზე ისეთი კაცი, როგორიც ომარ გოცაძეა, იშვიათად შემხვედრია. საქართველო ასეთ ადამიანებზე დგასო. რა თქმა უნდა, მე ძალზე შორსა ვარ მისეული ასეთი შეფასებისგან, მაგრამ ფაქტია, რომ ამ სადღეგრძელოთი მან მე იმ უბრალო ქართველ კაცებთან გამაიგივა და ფაქტობრივად, მათი სადღეგრძელო დალია, რომლებიც ძალიან ეიმედებოდა და რომელთა სიყვარულში მას ბადალი არ ჰყავდა.

ბევრჯერ შევსწრებივარ მის უშუალო დამოკიდებულებას ასეთ უბრალო ადამიანებთან. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო მის მშობლიურ სოფელ არგვეთში თავის მეზობლებთან ურთიერთობისას. ოთარ კომლაძე იქნებოდა ეს, თუ ბუჭუნა ბუცხრიკიძე, თამაზ კომლაძე ე.წ. ვახშამა თუ კაკიტიჩა — ავთანდილ მაჭავარიანი. მათი ერთმანეთთან შეხუმრება და დროსტარება ერთ ნახვად ღირდა.

ძალიან მიჭირს ბატონ მუხრანზე წარსულში და მოგონებებით საუბარი, მაგრამ გამჩენმა ღმერთმა მეტი გზა არ დამიტოვა.

დაბადების დღეს და საპატიო საიუბილეო თარიღს გილოცავ, ჩემო მუხრან, ჩემო უფროსო და უღალატო მეგობარო. ვაგლახ, რომ ნაადრევად წახვედი ამ წუთისოფლიდან სწორედ მაშინ, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდი შენს სათაყვანებელ სამშობლოსა და ხალხს.

იძინე მშვიდად და უშფოთველად, დაე, მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მთაწმინდის საოცნებო მიწა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ბობოქარი სული.

ომარ გოცაძე.
10.04.2019 წელი

# MMT ჰოსპიტალი – მაღალი სტანდარტების თანამედროვე სამკურნალო დაწესებულება

უმაღლესი სტანდარტების თანამედროვე ტექნოლოგიები, პროფესიონალური ცოდნა, პაციენტებისადმი განსაკუთრებული ყურადღება და სიყვარული, ეს ნიშნები გამოარჩევს სხვე-


გურამ ქარაზანაშვილი

ბისგან MMT ჰოსპიტალს, რომელსაც სათავეში ცნობილი ექიმი, პროფესორი, ამერიკის, გერმანიის, ევროპის წამყვანი სამედიცინო ცენტრების საპატიო წევრი, ბატონი **გურამ ქარაზანაშვილი** ხელმძღვანელობს.

სწორედ მისი დამსახურებაა იმ შესანიშნავი გუნდის შეკრება, რომლებიც ჰოსპიტალში მოღვაწეობენ და გამოირჩევიან ღრმა პასუხისმგებლობით, ავადმყოფებისადმი უდიდესი ყურადღებით და ლმობიერებით, რაც თითქმის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დაავადებისგან შეწუხებული პაციენტებისთვის. პროფესიონალიზმთან ერთად, სწორედ ეს ყურადღება არის ექიმის ერთ-ერთი პირველადი მოვალეობა, ნამდვილი დასტაქარობა და ჰიპოკრატეს მოწაფეობა, რაც დღეს განსაკუთრებული იშვიათობაა.

ეს იშვიათობა ხდება MMT ჰოსპიტალში, რომლის პაციენტიც ამ დღეებში თავად გახლდით.


დავით ყარსიმაშვილი

უდიდესი მადლობა, უპირველესად, ბატონ გურამ ქარაზანაშვილს, ჰოსპიტალის სულისჩამდგმელსა და შესანიშნავ ხელმძღვანელს. მის გარეშე, დარწმუნებული ვარ, შეუძლებელი იქნებოდა კლინიკა ისეთი ყოფილიყო, როგორიც დღეს არის.

მადლობა ბრწყინვალე ქირურგებს: მაია წერეთელსა და დავით ყარსიმაშვილს, ჰოსპიტლის საუკეთესო ექიმებს: ირმა ბერძნიშვილს, ირაკლი ფარცვანიას, პაციენტების მომავალ იმედს, ექიმ ნინო ქარაზანაშვილს, ჰოსპიტლის მენეჯერს თეო კანდელაკს და სხვებს, მედდებს, სანიტრებს.

წარმატებებს ვუსურვებ ყველას.

განკურნებული პაციენტების მადლიერება ყოფილიყოს თქვენი საამაყო ჯილდო და საჩუქარი.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18


ირაკლი ფარცვანია


მაია წერეთელი


ნინო ქარაზანაშვილი


ირმა ბერძნიშვილი



## მილოცვა

**„საერთო გაზეთის" ერთგულ მეგობარს, ნაღდ პატრიოტსა და მამულიშვილს, ჭირსა და ლხინში საიმედო ადამიანს, შესანიშნავ პიროვნებას დავით ინჯიას ვულოცავთ დაბადების დღეს და ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, მხნეობას, ყველა ოცნების ასრულებას, სიკეთესა და ბედნიერებას თავის ოჯახთან და საყვარელ ადამიანებთან ერთად.**

„საერთო გაზეთი"


## სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მისამართი: ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 551 50 89 07

## ლაუნჯი „ესკობარი"



ლაუნჯი „ესკობარი" ეს არის ადგილი, რომელიც მრავალფეროვანი პროგრამით, უგემრიელესი კერძებითა და ბარმენის მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუშებით ანებივრებს სტუმრებს. ცოცხალი მუსიკა, DJ, კარაოკე, ბენდი თუ სოლო შემსრულებლები, უამრავი გათამაშება და საჩუქრები, ეს ჩვენი ყოველდღიურობის შემადგენელი ნაწილია. ორშაბათიდან – ორშაბათამდე, დილის 10:00 საათიდან – გამთენიის 04:00 საათამდე, ესკობარი მზადაა აქციოს თქვენი დღე დღესასწაულად. ლაუნჯი „ესკობარი", მისი უმშვენიერესი ტერასით, მზად არის უმასპინძლოს თქვენს კორპორატიულ საღამოებს, პრეზენტაციებსა თუ სხვადასხვა ღონისძიებებს.

მისამართი: თბილისი,
ავლიპ ზურაბაშვილის N 13-15
ტელეფონი: 555 607 999



# საერთო გაზეთი

მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი"-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001